



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ნასყიდობის ხელშეკრულება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: ლევან მაისურაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი რომან შენგელია

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია	2
Anotation	3
შესავალი	4
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა	7
თავი II ხელშეკრულების არსი	9
2.1 ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენლობა, ნასყიდობის ხელშეკრულების კონცეფცია, ელემენტები, შინაარსი და ფორმები	15
2.2 ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეების ძირითადი უფლებები და მოვალეობანი	20
2.2.1 გამყიდველის მოვალეობები	20
2.2.2 მყიდველის ძირითადი და არაძირითადი ვალდებულებები	25
2.3 ნივთის დაღუპვის რისკი და ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი.....	27
2.4 უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა და უფლებრივად უნაკლო ნივთი	34
თავი III ყიდვა-გაყიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობები საერთაშორისო კანონმდებლობაში.....	38
3.1 კონვენციის ძირითადი დებულებები და ხელშეკრულების დადების წესები.....	41
3.2 საქონლის ყიდვა-გაყიდვა და გამყიდველის ვალდებულებები	43
3.3 საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, სამართლებრივი დაცვის საშუალებები და საქონლის მიღების წესები.....	45
თავი IV სასამართლო პრაქტიკა.....	49
თავი V. კვლევის შედეგები.....	53
დასკვნა.....	56
გამოყენებული ლიტერატურა.....	59.....58

ანოტაცია

დღესდღეობით სამეწარმეო ურთიერთობების ძირითად ბაზისს წარმოადგენს ხელშეკრულება. ნებისმიერი საწარმოს თუ ორგანიზაციის კომერციული გეგმის რეალიზაცია შეუძლებელია გარიგებისა და ხელშეკრულების გარეშე.

ყველა საქმიანი ურთიერთობა სამეურნეო სუბიექტთა შორის რეგულირდება კანონმდებლობითა და იმ პირობებით, რომლებსაც ისინი ითვალისწინებენ შესაბამის ხელშეკრულებებში.

ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს, მათ პასუხისმგებობას, პროდუქციის ფასებს, მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების ვადებს და სხვ.

სამეურნეო ხელშეკრულებების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთლების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

ნაშრომის 1-ელ თავი წარმოადგენს ლიტერატურის მიმოხილვას. მასში გაანალიზებულია ის წყაროები, წიგნები, ელ. რესურსები, რაც გამოყენებულ იქნა ნაშრომზე მუშაობისას.

ნაშრომის შემდგომ თავებში განხილულია სხვადასხვა საკითხები: ხელშეკრულების ცნება, არსი, ფორმა; ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეების ძირითადი უფლებები და მოვალეობანი; გამყიდველის მოვალეობები; მყიდველის ძირითადი და არაძირითადი ვალდებულებები; ნივთის დაღუპვის რისკი; ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი; ყიდვა-გაყიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობები საერთაშორისო კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკის მაგალითები.

Anotation

შესავალი

თემის აქტუალობა: სამეურნეო ურთიერთობების ბაზისს წარმოადგენს ხელშეკრულება. რთულ, მრავალმხრივ და წინააღმდეგობით სავსე სამეურნეო ურთიერთობებში წამოჭრილი კონფლიქტების მიზეზი, ხშირად ხდება არსწორედ თუ უყურადღებოდ შედგენილი ხელშეკრულება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ წარმატებული ბიზნესმენებისათვის საკმარისი როდია იყოს ენერგიული, მიზანდასახული, გამბედავი და ინიციატივანი. ერთი სიტყვით, საქმიანი ადამიანი, ამავე დროს, აუცილებელია კარგად იცნობდეს და იყენებდეს იმ სამართლებრივ წესებსა და ნორმებს, რომელიც არეგულირებს ადამიანის ქცევას საბაზრო ურთიერთობების პირობებში. ყველაფერი ხელშეკრულებით იწყება. ნებისმიერი საწარმოს კომერციული გეგმის რეალიზაცია შეუძლებელია გარიგებისა და ხელშეკრულების გარეშე - იყო მეწარმე, განახორციელო სამეწარმეო საქმიანობა და არ განახორციელო გარიგება, არ დადო ხელშეკრულება - უბრალოდ წარმოუდგენელია¹.

ნასყიდობის ხელშეკრულება არის ერთ-ერთი მთავარი ტიპი სახელშეკრულებო სამართალში ქონების საკუთრებაში გადაცემის ან სხვა ქონებრივ სამართალში. ამ ხელშეკრულების იურიდიული რეგულირების ისტორია ითვლის თითქმის 4 ათასი წელს. იურიდიული სისტემების შემუშავების პროცესში ადგილი ჰქონდა იურიდიული ნორმების ბუნებრივ შერჩევას ნასყიდობის ხელშეკრულებისას. დროთა განმავლობაში შემთხვევითი დებულებები აღმოფხვრილ იქნა, რაც უფრო გამართლებულ და მაღალკვალიფიციურ საშუალებას იძლეოდა, გაიზარდა იურიდიული ტექნოლოგიის დონე. იურიდიულმა წესებმა, რომლებიც თავდაპირველად არეგულირებს საქონლის რეალიზაციას, თანდათანობით შეიძინა ზოგადი დებულებების ხასიათი სხვა სამოქალაქო გარიგებებისთვის. ამის წყალობით, გაყიდვების ინსტიტუტმა სერიოზული გავლენა მოახდინა ყველა იურიდიული სისტემის საკონტრაქტო სამართლის ფორმირებაზე. გაყიდვების ხელშეკრულება წამყვან როლს თამაშობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შუამავლობაში. დროთა განმავლობაში, ნასყიდობის ტიპების სპექტრი ფართოვდება. მომარაგება, კონტრაქტი, ავტომატური აპარატების გამოყენებით გაყიდვა, გაცვლითი ვაჭრობა და ა.შ. ითვლება გაყიდვის სახეობად.

¹ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., სახელშეკრულებო ურთიერთობები პრაქტიკა, თბ. 2006, გვ 269

სხვადასხვა იურიდიულ სისტემას აქვს საკუთარი მახასიათებლები ნასყიდობის ხელშეკრულების რეგულირებაში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესრულების გარანტიებს: გარანტიების კონცეფციას იმ პირთა მიმართ, რომელთა სასარგებლოდ მოქმედებენ ისინი, დაცვის საშუალებებს ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. საფრანგეთის სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნასყიდობის ხელშეკრულების ხასიათი და ფორმა, გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებები. ამასთან, ყველა იურიდიულ სისტემაში, ყველაზე მნიშვნელოვანია ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთების (საკუთრების, საქონლის) საკუთრებაში გადაცემა და ამ ხელშეკრულების არსებითი პირობები: მისი საგანი, ფასი, მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შესრულებისთვის, აგრეთვე რამდენიმე დამატებითი პირობა - პირობებით. საქონლის გადაცემის ადგილი და წესი, მათი ტრანსპორტირება და დაზღვევა, ანგარიშსწორების წესი და ა.შ.

ნაშრომის თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ყველაზე გავრცელებული ტიპის შეთანხმებაა სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეთა შორის, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში. ნასყიდობის ხელშეკრულება არის ერთ-ერთი მთავარი ტიპი ვალდებულებებით სამართალში ქონების საკუთრებაში გადაცემის ან სხვა ქონების სამართალში.

აქედან გამომდინარე, იმ პრობლემების ცოდნა, რომლებიც ხშირად გვხვდება, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, მნიშვნელოვანი ამოცანაა ნასყიდობის ხელშეკრულების საკითხის შესწავლისას.

კვლევის მიზანი: ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების იურიდიული ხასიათის დახასიათება და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა სამოქალაქო მიმოქცევაში. აგრეთვე ნასყიდობის ხელშეკრულების ელემენტების შესწავლა.

კვლევის ამოცანა: ნაშრომის მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანებია, სამოქალაქო სამართალში ნასყიდობის ხელშეკრულების კონცეფციის ცოდნა და შესწავლა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა არის ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლების გაგება: მოქალაქეების, კომერციული ორგანიზაციებისა და მეწარმეების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას. ნაშრომის კვლევიდან გამომდინარე არსებული პრობლემის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან მნიშვნელოვანია და საშუალებას იძლევა მოხდეს არა მარტო ინფორმაციის სისტემატიზაცია, რომელიც შეთავაზებულია ფართო სპექტრის იურისტებისათვის, ადვოკატებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ, არამედ ყველაფერთან ერთად

საშუალებას იძლევა მოხდეს მოცემული პრობლემის გადაჭრის გზების იდენტიფიცირება, რაც უდავოდ მიიღებს გარკვეულ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ნაშრომი მიმართულია სამოქალაქო სამართლის ურთიერთობების მხარეების ნასყიდობის შეთანხმების შესწავლასთან დაკავშირებით. ეს არის ნაშრომის კვლევის ობიექტი. გარდა ამისა, ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში, გამოკვლეულ იქნა ამ კატეგორიის ხელშეკრულებების თანდაყოლილი ელემენტები, ე.წ. არსებითი პირობები, რომელთა კოორდინაცია სავალდებულოა მხარეთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ ვალდებულებების შესრულებისას.

ნაშრომის კვლევის საგანია თავად ნასყიდობის ხელშეკრულების და მისი ელემენტების შესწავლა, აგრეთვე თანამედროვე სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისი ამ პრობლემის შესახებ.

კვლევის მეთოდები: ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფორმალურ-სამართლებრივი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც გამოიკვეთა ცნებები, გაანალიზდა მათი არსი, ნიშნები და განსხვავებები.

სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც განიისაზღვრა ნაშრომის სტრუქტურა, ასევე წარმოჩინდა კვლევის შედეგები გამოყენებული მეთოდების ფარგლებში ისეთი ლოგიკური მეთოდებით, როგორცაა ანალიზი, სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია.

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

ახვლედიანი ზ., „ვალდებულებითი სამართალი“ (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999 - წიგნში წარმოდგენილია მთელი ვალდებულებითი სამართალი მთელი თავისი ზოგადი და კერძო ნაწილით.

ბზეკალავა ე., ჭალაძე თ., ცერცვაძე ა., გეგმაძე დ., ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, თბ., 2014 - „ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები“ თანამედროვე კერძო სამართალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. მართალია, მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს, თუმცა ევროპაში სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აქტიურად გამოიყენება. წიგნში წარმოდგენილია ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპების ზოგადი დებულებები, ძირითადი ვალდებულებები;

თუმანიშვილი გ., „სახელმწიფოების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება“ „გამომცემლობა“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012 - წიგნში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი და ფუძემდებლური საკითხები, როგორც არის: სამოქალაქო სამართლის სისტემა; კერძო ავტონომია და სახელმწიფოებო თვითობა; საკუთრების გაგების იდეოლოგიური ინტერპრეტაცია; სამოქალაქო სამართლის წყაროები; ფიზიკური პირები; უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნებები; იურიდიული პირები, მათი წარმოშობა და ნიშნები; იურიდიული პირის სახეები; გარიგებანი; მოძღვრება ნების ნაკლის შესახებ; სანივთო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის: საკუთრების ცნება, მნიშვნელობა და ისტორიული განვითარება; უფლებების ცნება და სახეები; საკუთრების უფლების შეზღუდვები; სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის პრობლემები; მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები (გირავნობა და იპოთეკა) და მრავალი სხვა საკითხი

იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყეია ზ., სახელმწიფოებო ურთიერთობების პრაქტიკა, თბილისი, 2006 - წიგნში ამომწურავადაა წარმოდგენილი წინასახელმწიფოებო

მოლაპარაკების პერიპეტიები, ასევე ტიპური ხელშეკრულებებიც. წიგნში სათანადო ადგილი ეთმობა სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივ საფუძვლებს.

კაკოიშილი დ., „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“, ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, 2013 - სტატიაში განხილულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ზოგადი დახასიათება, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ქართული სამართლის მიხედვით - მატერიალური მხარის ანალიზი და ა.შ.

კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009 - წგნი განხილულია კერო სამართლის ისეთი საკითხები როგორცაა: ქონება, კერძოსამართლებრივი ურთიერთობები, ნების გამოვლინების და გარიგების საკითხები და ა.შ.

კროპკოლერი ი., „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“, თბილისი., 2014 - მოცემული წიგნი წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) სასწავლო კომენტარს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს (სსკ), როგორც კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად კოდიფიკაციას, აქვს გამორჩეული მნიშვნელობა საქართველოში სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით. ამასთან, სსკ და BGB (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი) საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ერთ-მანეთთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001 - ვალდებულებით სამართლის კრმო ნაწილის პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებულია: იგი აწესრიგებს ადამიანთა ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან სფეროებს. მოცეულ წიგნში თავმოყრილია თითქმის მთელი სახელშეკრულებო სამართალი, რომელიც კლასიკურ ხელშეკრულებებთან ერთად (როგორცაა ნასყიდობა, გაცვლა, ნარდობა, ქირავნობა, იჯარა და ა.შ.) მოიცავს სამართლისთვის სრულიად ახალ ინსტიტუტებსაც.

ძლიერაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014 - მოცემულ წიგნში წარმოდგენილია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი საკითხები, ხელშეკრულების, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, ხელშეკრულების კონცეფცია, არსი, სახეები, ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხები და ა.შ.

თავი II ხელშეკრულების არსი

განვითარებული საბაზრო (შერეული) ეკონომიკის ქვეყნებში უალრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ამიტომ ბიზნესი ხდება საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. ბიზნესი რთული და საინტერესო საქმიანობაა. მისი წარმატებული დაუფლება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ურთიერთობები.

დღეისათვის სამეწარმეო ურთიერთობების ძირითად ბაზისს ხელშეკრულება წარმოადგენს. ამასთან, რთულ, მრავალმხრივ და წინააღმდეგობებით სავსე ურთიერთობებში წამოჭრილი კონფლიქტების მიზეზი ძალზე ხშირად არასწორად, თუ უყურადღებოდ შედგენილი ხელშეკრულებაა, რაც ცხადყოფს, რომ წარმატებული ბიზნესისათვის საკმარისი როდია ენერგიულობა, მიზანდასახულობა, გამბედაობა და ა.შ. ხელშეკრულებები პრაქტიკულად ყველაზე გავრცელებული ჯგუფია, რომელიც გამოიყენება საზოგადოებისა და ეკონომიკის ბევრ სფეროში. იმავდროულად, ხელშეკრულებები არ შედის რომელიმე დოკუმენტაციის სისტემაში. ეს მიუთითებს ხელშეკრულების სპეციფიკაზე, როგორც დოკუმენტებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა ეკონომიკური და სხვა ურთიერთობების გაფორმება. ახლა, როდესაც არსებობს სახელმწიფო და არა სახელმწიფო ორგანიზაციების დიდი რაოდენობა, სახელშეკრულებო ურთიერთობებს განსაკუთრებული განვითარება აქვს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ყურადღება დაეთმოს მათი რეგულირების საკითხებს².

ნებისმიერი საწარმოს კომერციული გეგმის რეალიზაცია შეუძლებელია გარიგებისა და ხელშეკრულების გარეშე - იყო მეწარმე, განახორციელო სამეწარმეო საქმიანობა და არ განახორციელო გარიგება, არ დადო ხელშეკრულება - უბრალოდ წარმოუდგენელია.

ხელშეკრულება ყველაზე სტაბილური იურიდიული ფორმაა. მისი ისტორია ითვლის ათასობით წელს. ასეთი ხანგრძლივი პერიოდისთვის ხელშეკრულებების გამოყენების

² თუმანიშვილი გ., „ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება“, გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი., 2012, გვ. 112-115

შესაძლებლობა აიხსნება იმ ფაქტით, რომ იგი არის მოქნილი სამართლებრივი ფორმა, რომელშიც სხვადასხვა სოციალური ურთიერთობები შეიძლება შეიქმნას. მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის ცვლილებისა, ხელშეკრულებების მშენებლობა, როგორც იურიდიული ტექნოლოგიის პროდუქტისა, უცვლელია. დროთა განმავლობაში ხელშეკრულებების შესაძლო მხარეების შემადგენლობა გაფართოვდა - ინდივიდუალურ პირებთან (მოქალაქეებთან), კოლექტიურმა ფორმირებმა - ორგანიზაციებმა იურიდიული პირის უფლებებით - დაიწყო ამ როლის შესრულება. კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულებების ტიპები სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი გახდა, კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობების მშენებლობაში გამოყენებული ელემენტების კომბინაცია გართულდა. ხელშეკრულება არ არის მარტო ის დოკუმენტი, რომელიც საჭიროა ამ თუ იმ საწარმოს საღაროში ფულის შემოსავალში ასაღებად. ხელშეკრულება, პირველ რიგში მხარეებს შორის შეთანხმებაა, იურიდიული აქტია, რომელშიც გამოხატულია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის თანხმობა.

ტერმინი "ხელშეკრულება" გამოიყენება სამოქალაქო სამართალში სხვადასხვა მნიშვნელობით. ხელშეკრულების ქვეშ იგულისხმება იურიდიული ფაქტი, რომელიც საფუძლად უდევს ვალდებულებას და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიული ურთიერთობის ვალდებულების ჩამოყალიბების ფაქტს. ხელშეკრულების დახმარებით, მოქალაქეები და იურიდიული პირები ქმნიან ნდობას იმის შეახებ, რომ მათი საქმიანობა უზრუნველყოფილი იქნება ყველა აუცილებელი მატერიალური წინაპირობით³. მაშასადამე, ხელშეკრულება, ანუ იგივე შეთანხმება არის გარიგება, რომელიც ბადებს გარკვეულ ვალდებულებებს, სამართალურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა, როგორც დადებული ხელშეკრულებიდან, ასევე მოქმედი კანონმდებლობიდან. ხელშეკრულება მოიცავს და მასზე ვრცელდება გარიგების ყველა პირობა და წესი. მხარეთა ურთიერთვალდებულებათა დაზუსტებისა და ყველა იმ გარემოების ჩათვლით, რომელიც აბათილებს გარიგებას, ასევე იმ შედეგებს, რომელიც ამ შემთხვევაში დგება. ზოგადად ხელშეკრულებაზე ვრცელდება გარიგების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ყველა პირობა და წესი⁴.

ხელშეკრულება კანონის საფუძველზე იდება. შესაბამისად, მას კანონის ძალა გააჩნია⁵, რომლის ფარგლებშიც მხარეს სამოქალაქო უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა

³ თუმანიშვილი გ., „ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება“, გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, გვ 112-115

⁴ თუმანიშვილი გ., „ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება“, გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, გვ 122-115

⁵ ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ქრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ. 57.

წარმოეშობა⁶. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თავად აწესებენ იმ ქვეყნის წესს, რომლის შესრულების სავალდებულოობაც სწორედ მათ მიერ განისაზღვრება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელშეკრულება ადამიანთათვის ერთ-ერთი ყველაზე პირველი პოზიტიური სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც საკანონმდებლო დონეზეა მოწესრიგებული. ხელშეკრულება პიროვნების მიერ გამოვლენილი ნების რეალიზაციის საშუალებას / ინსტრუმენტს წარმოადგენს. იგი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ინსტრუმენტი, პიროვნების თავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. ხელშეკრულების ცნების დეფინიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ან რომელიმე სხვა სამართლებრივ ნორმაში არ არის მოწესრიგებული. მაგალითად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში განსაზღვრულია ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება, თუმცა მასში მითითება სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებაზეა გაკეთებული, ანუ აღნიშნული კოდექსი სსკ-ს ეყრდნობა და დამოუკიდებლად ხელშეკრულების თავისუფლების საკითხს, მითუმეტეს, მის ცნებას, არ განსაზღვრავს⁷.

ხელშეკრულება წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას. ხელშეკრულებაში უნდა მონაწილეობდეს ორი პირი მაინც. მხარეთა მიერ ურთიერთგამოვლენილი ნება კი ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს. შესაბამისად სახელშეკრულებო ურთიერთობებს დათქმული პირობების თანახმად განვითარების შემთხვევაში წარმოიშობა სწორედ ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც ხელშეკრულების მხარეებმა ისურვა⁸. მაშასადამე, ხელშეკრულება არის მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმება, იურიდიული აქტი, რომელშიც გამოხატულია თანხმობა ურთიერთხელსაყრელ თანამშროლობაზე. ცნობილია, რომ ყველა საქმიანი ურთიერთობა ხამეურნეო სუბიექტთა შორის რეგულირდება კანონმდებლობით და იმ პირობებით, რომლებსაც ისინი ითვალისწინებენ შესაბამის ხელშეკრულებებში. ცალკეული ოპერაციისა თუ საერთო სამეურნეო საქმიანობის წარმატება, მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ რამდენად სწორად არის შედგენილი და გაფორმებული ყოველი ცალკეული ხელშეკრულება. სწორედ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა ვადებულებებს, მათ პასუხისმგებლობას, პოდუქციისა და მომსახურების ფასებს, ხარისხს, მიწოდების ვადებს, ანგარიშწორების წესებს და სხვა⁹.

⁶ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, გვ. 325.

⁷ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, გვ. 208-210

⁸ ძლიერაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ. 86-88

⁹ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., სახელშეკრულებო ურთიერთობები პრაქტიკა, თბ. 2006, გვ. 267, 270

ხელშეკრულების ფორმის ფუნქცია მდგომარეობს მხარეთა მიერ გამოვლენილის ნების სწორად ასახვასა და საკანონმდებლო დამაგრებაში, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების შინაარსის არაერთგვაროვანი განმარტება იწვევს შეუთანხმებლობას მხარეთა შორის და საკმაოდ ხშირად დავის მიზეზიც ხდება. მსგავსი ნეგატიური ფაქტები განპირობებულია იმით, რომ ხელშეკრულების ტექსტი და ყველანაირი რეკვიზიტი განისაზღვრება მხარეთა მიერ, რომლებიც საკმაოდ ხშირად შორს არიან იურიდიული ნიუანსებისა და დოკუმენტების შედგენის იურიდიული ტექნიკისაგან. ხელშეკრულებაში არსებულ ფორმულირებათა ორაზრვნება და არასრულყოფილება შესაძლოა ერთ-ერთი კონტრაქტის მხარის მიერ შეგნებულდაც იქნეს დაშვებული მისი ხელშემკვრელი მხარის ინტერესების არაკეთილსინდისიერი ხელყოფის მიზნით. შესაბამისად, აუცილებელი ხდება რაიმე სამართლებრივი მექანიზმის არსებობა ამ პრობლემის მოწესრიგებისათვის. ხელშეკრულების ფორმა მის მონაწილე მხარეთა ნების გამოვლენას ამაგრებს და სრულად ასახავს მას¹⁰. ევროპული სახელშეკრულებო პრინციპების თანახმად, მუხლი 2:101 (მვ. 5.101) ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ: (ა) მხარეები სამართლებრივი ბოჭვის ნებას გამოხატავენ და ბ) მიაღწევენ სათანადო შეთანხმებას სხვა რაიმე პირობის არსებობის გარეშე. (2) ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული არაა წერილობით ფორმაზე ან ფორმასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნაზე. ხელშეკრულების არსებობა ნებისმიერი გზით შეიძლება დადასტურდეს, მათ შორის მოწმეთა განცხადებების საფუძველზეც. ამავე პრინციპების მუხლი 2:104 (მვ. 5.103 A) თანახმად, (1) ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეებს ინდივიდუალურად არ შეუთანხმებიათ, შეიძლება იმ მხარის წინააღმდეგ იქნას მიმართული, რომელმაც მათ შესახებ არ იცოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე, რომელიც ამ პირობებს იყენებს, ხელშეკრულების დადებამდე ან დადების პროცესში გონივრული ხერხებით ამ პირობებზე კონტრაქტის ყურადღების გამახვილებას ცდილობდა¹¹.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები ხელშეკრულების ფორმაზეც ვრცელდება. როგორც წესი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორმის დაცვა საჭირო არ არის. ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, როდესაც მხარეები შესაბამის პირობებზე თუნდაც ზეპირი მოლაპარაკების გზით შეთანხმდებიან.

¹⁰ ძლიერაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ. 86-88

¹¹ ბუკალაძე ე., ჭალაძე თ., ცერცვაძე ა., გეგმაძე დ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თბ., 2014, გვ. 24-26

ხელშეკრულების დასადებად ცალკეულ შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებით შესაბამისი პირობების განსაზღვრაც არ არის აუცილებელი. შესაძლოა, მხარეთა კონკლუდენტური ქმედებებიდანაც ირკვეოდეს, რომ მათ შორის ხელშეკრულება დაიდო. ამდენად, ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებითაც მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი. ეს პრინციპი შეუძლუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვევებში კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია. მხარეებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელშეკრულების რაიმე ფორმა, როგორც მის ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა¹².

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხელშეკრულების ტიპებს რომელთა ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ ისინი დაიდოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, წერილობითი ფორმა იყოფა რთულ (სანოტარო) წერილობით და მარტივ წერილობით ფორმებად.

რთული წერილობითი ფორმა. 1174-ე მუხლის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ხოლო უძღავი ქონების გადაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. რთულ წერილობით ფორმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 და მისი შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომ უძღავ ნივთებზე გარკვეული უფლებები რეესტრში შესაბამის რეგისტრაციას ექვემდებარება და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ მისი ამსახველი ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისგან წარმოიშობა.

მარტივი წერილობითი ფორმა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მთელ რიგ ხელშეკრულებათა ნამდვილობისათვის კანონი ითხოვს მარტივი წერილობითი ფორმის დაცვას. მაგალითად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება (506), ფრენშიაზინგის ხელშეკრულება (611), საკუთრების მინდობის ხელშეკრულება (727), შუამავლობა სესხებისას (752), თავდებობის ხელშეკრულება (891), სამისდღემშიო ხელშეკრულება (942) და ხელშეკრულების სხვა ტიპები. მნიშვნელოვანია, რომ მარტივი წერილობითი ფორმის წინაპირობა მხარეებმა გაითვალისწინონ, რათა თავიდან აირიდონ ხელშეკრულების ნამდვილობაზე დავა ფორმის ნაკლის საფუძველით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე მხარეებსაც შეუძლიათ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებისთვის განსაზღვრონ წერილობითი ფორმა (328). თუ მხარეები თავიანთი შეთანხმებით განსაზღვრავენ ხელშეკრულების ფორმას, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება,

¹² ძლიერაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ. 95-98

კანონით განსაზღვრული ფორმასავალდებულო ხელშეკრულების მსგავსად, მხოლოდ მაშინ შედის ძალაში, როდესაც განსაზღვრული ფორმის მოთხოვნები იქნება შესრულებული¹³.

ხელშეკრულების სამართლებრივი დატვირთვა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლის აღსრულების გარანტი, უზრუნველყოფს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ზოგადი პრინციპის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (361 II). ხელშეკრულების დარღვევას შედეგად უნდა მოჰყვეს ან დამრღვევი მხარის იძულება შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან მისი დავალდებულება აანაზღაუროს შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი. სწორედ ეს არის სამართლებრივი გარანტია, რომელიც ხელშეკრულების მხარეების დაცვის საშუალებად გვევლინება. სამოქალაქო და საბაზრო ბრუნვის მონაწილენი თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე კისრულობენ ვალდებულებების შესრულებას, ერთმანეთს უთანხმდებიან რაიმე ნივთისა თუ უფლების გადაცემაზე, მოქმედების შესრულებასა თუ მისგან თავის შეკავებაზე. მათი ძალით ურთიერთობის მონაწილე ერთი მხარე ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედება მეორე მხარის მიმართ. შესრულება შეიძლება გამოიხატოს გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც¹⁴. ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს ხელშეკრულება (contract, Vertrag, contrat) წარმოადგენს, როგორც იურიდიული ფაქტი¹⁵, ანუ – „შეთანხმება, რომლის მეშვეობითაც ერთი ან რამდენიმე პირი ვალდებულებას კისრულობს სხვა პირსა თუ პირთა გარკვეულ რაოდენობას რაიმე გადასცეს, შეუსრულოს ან არ შეუსრულოს“¹⁶.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-3 კარის § 145-ის თანახმად, ხელშეკრულებები იდება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით. ნების გამოვლინებები ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. არის თუ არა ასეთი შემთხვევა, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დადგინდეს განმარტების გზით. ამავე დროს, ეს დგინდება ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით. თუ ნების გამოვლინებები ერთმანეთს არ შეესაბამება, მაშინ წარმოიქმნება უთანხმოება. ხელშეკრულება არ იდება, სანამ მხარეები არ თანხმდებიან გარიგების ძირითად პირობებზე („essentialia negotii“. მაგ., საქონელი და ფასი)

17.

¹³ ძლიერაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 105

¹⁴ ძლიერაშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., „სახელშეკრულებო სამართალი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი., 2014, გვ 105-110

¹⁵ ახვლედიანი ზ., „ვალდებულებითი სამართალი“ (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი., 1999.გვ. 40-45

¹⁶ Васильев, Коммаров, Гражданское и Торговое Право Зарубежных Государств, I том., 2004, გვ. 115-120

¹⁷ კროპჰოლერი ი., „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“, თბილისი., 2014, გვ. 196-200

2.1 ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენლობა, ნასყიდობის ხელშეკრულების კონცეფცია, ელემენტები, შინაარსი და ფორმები

სამეურნეო ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებულია ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმაა ყიდვა-გაყიდვის, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულება. საქართველოში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ასეთი ხელშეკრულებების მხარეების უფლებები და მოვალეობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-520 მუხლებით.

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთლების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევით დაკარგვია ან გაფუჭების რისკი. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს, ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს¹⁸.

ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად ნასყიდობის სამართლის ზოგადი ნორმები საფუძვლიანად შეიცვალა. ამასთანავე, ნაციონალურ კანონმდებლობაში დაინერგა 1999 წლის 25 მაისის ევროგაერთიანების სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივა.¹⁹

ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უძველესი ინსტიტუტია. ჯერ კიდევ რომის სამართლის კონტრაქტების კლასიკურ სისტემაში მას ძირითადი ადგილი ეკავა. გარდა ამისა, მრავალი ხელშეკრულება აღმოცენდა და განვითარდა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უფრო მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სახელეკრულებო სამართლის ფორმირებას.

¹⁸ იაშვილი ნ., მადალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., სახელშეკრულებო ურთიერთობები პრაქტიკა, თბ. 2006, გვ.84

¹⁹ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2011, გვ. 198

ამჟამად, ნასყიდობის ხელშეკრულება ყველაზე მეტად გავრცელებული და მოქმედი ხელშეკრულებაა. იგი სასაქონლო ფულადი ურთიერთობების უნივერსალური ფორმაა²⁰.

ნასყიდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელშიც ყველაზე ნათლად არის განსაზღვრული (გამოხატული) ქონების ერთი პირიდან მეორე პირის საკუთრებაში გადასვლა²¹.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება კონსენსუალური, ორმხრივი და რთულია. შესყიდვა და გაყიდვა მოქმედებს, როგორც იურიდიული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო ბრუნვას სასაქონლო ბაზარზე. სამოქალაქო სამართლის მრავალი სუბიექტის ქონებრივი ინტერესი უკავშირდება მრავალფეროვანი საქონლის წარმოების სფეროს, მიმოქცევისა და მოხმარების სფეროს, რაც ნასყიდობის ხელშეკრულებას ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებულ ხელშეკრულებად აქცევს.

ნასყიდობის ხელშეკრულებას ჯერ კიდევ რომის სამართალში ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი და მას შემდეგ ნასყიდობის სამართლისგან ვითარება მნიშვნელოვნად განაპირობებს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სახელშეკრულებო სამართლის განვითარებას. ნასყიდობის ხელშეკრულება ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი, კლასიკური ტიპია და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემატიკა და განმარტებები აქტუალურია სხვა ხელშეკრულებებისათვისაც²².

ნასყიდობის ხელშეკრულებას ასევე წამყვანი ადგილი უკავია იმ ხელშეკრულებათა (კონტრაქტთა) შორის, რომლებიც იდება საერთაშორისო ვაჭრობისას სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირთა მიერ ან/და, სხვა მესამე ქვეყანაში არსებულ ქონებასთან მიმართებაში. ასეთ ურთიერთობათა (საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები) მოსაწესრიგებლად ქვეყნების მიერ ხელმოწერილია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ვენის 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციას (Convention on the International Sale of Goods - CISG)¹. ზემოხსენებულ კონვენციასთან ერთად, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დროს, ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს (ხელშეკრულებების ცალკეული მუხლების ან/და ტერმინების განმარტებასთან მიმართებაში, ისევე, როგორც ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებების და ამ ვალდებულებების მოცულობის

²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 20,21

²¹ თუმანიშვილი გ., ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, გვ. 47

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 20,21

განსაზღვრის საკითხებს) არეგულირებს არაერთი საერთაშორისო (მრავალმხრივი და ორმხრივი) ხელშეკრულებები²³.

ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენლობა

1. ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. იგი დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან კანონით გათვალისწინებული ფორმით. ნასყიდობის ხელშეკრულების კანონით გათვალისწინებულ არსებით პირობებად განიხილება ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის საგანი. ამასთან განსაზღვრული უნდა იყოს მხარეები, რომელთაც წარმოეშობათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები. გარდა კანონით გათვალისწინებული არსებითი პირობებისა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით შესაძლებელია ცალკეული პირობა ხელშეკრულების არსებით პირობად იქცეს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება 327-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები აღნიშნულ პირობაზე შეთანხმდნენ.

ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ასევე აუცილებელია არ არსებობდეს ხელშეკრულების ნამდვილობის დამაბრკოლებელი გარემოებები-ბათილობის საფუძვლები²⁴.

ნებისმიერი ნივთი, იქნება ეს მოძრავი ან უძრავი, ინდივიდუალურად განსაზღვრული ან ზოგადი მახასიათებლებით განსაზღვრული, აღიარებულია, როგორც პროდუქტი, ხელშეკრულების შესაბამისად.

ნასყიდობის საგანი

ნასყიდობის საგანი შესაძლოა იყოს ყველა უფლება, რომლის გადაცემაც შესაძლებელია, მაგალითად, მოთხოვნები. ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს: საზოგადოების წილები, სანივთო უფლებები (მაგ. იპოთეკა), ასევე, ცალკეული სუბიექტური საჯარო უფლებები (მაგ., კონცესია). ნასყიდობა შესაძლებელია ეხებოდეს ნივთების ან უფლებების ერთობლიობას. მაგალითად, ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს პირის მთლიანი ქონება ან საწარმო; ამ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ ქონების ყველა ღირებულებითი შემადგენელი ნაწილი ნასყიდობის საგანია, ისეთები როგორებიცაა, მაგალითად: მანქანა-დანადგარები, კლიენტურა, ნოუ ჰაუ, გუდვილი, სასაქონლო ნიშანი, ფირმა და ა.შ²⁵.

ა) უძრავი ქონება უძრავ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია დადადებულად ითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მხარეთა შორის დადგენილი ფორმით მოხდება შეთანხმების მიღწევა. ამდენად, მხოლოდ ზეპირი

²³ თუმანიშვილი გ., ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, გვ. 48

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 22,23

²⁵ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2011, გვ. 311-313

შეთანხმება უძრავი ნივთის ნასყიდობის არსებით პირობებზე არ ნიშნავს, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო. ამისათვის 323-ე მუხლის თანახმად აუცილებელია წერილობითი ხელშეკრულების დადგენილი წესით გაფორმება. საკუთრების უფლების გადაცემისათვის კი აუცილებელია საჯარო რეესტრში ახალი მესაკუთრის სახელზე ნივთის რეგისტრაცია. ბ) მოძრავი ნივთი და არა მატერიალური ქონებრივი სიკეთე ნასყიდობის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ბრუნვა უნარიანი ქონება, კერძოდ მატერიალური ქონება—ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე—უფლება თუ მოთხოვნა. ცხოველი განიხილება ნივთად როგორც ბრუნვა უნარიანი ქონებრივი სიკეთე. არამატერიალური ქონებას განეკუთვნება მაგალითად პატენტიდან, სასაქლო ნიშანიდან, საწარმოს სახელწოდებიდან გამომდინარე თუ მათთან დაკავშირებული ქონებრივი უფლებები. გასათვალისწინებელია, რომ პიროვნულ უფლებებთან მჭიდროდ დაკავშირებული ქონებრივი „სიკეთეც“ შეიძლება იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი, თუმცა არა თავად პიროვნული უფლება. კომპიუტერული პროგრამა, მონაცემთა ბაზა არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა. „ნივთად განიხილება მხოლოდ ის ინფორმაციის მატარებელი, რომელშიც განსხეულებულია შესაბამისი ინფორმაცია“. არამატერიალურ ქონებაშიექვევასევეელექტროენერგია, გაზი, წყალი და სხვა თბოენერგია. მათზე შესაბამისად ვრცელდება მოძრავი ნივთის მიმართ მოქმედი წესები. მომავლი ქონება (მისი ცალკეული ნივთები) შეიძლება 320-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის ფარგლებში იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი. თუ ნასყიდობის საგანი არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, ის იდენტიფიცირებადი უნდა იყოს. კერძოდ, ხელშეკრულების საგანი და მისი შინაარსი დადგენადი უნდა იყოს. ისეთი სამართლებრივი სიკეთე რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინდივიდთან და მისგან არ იმიჯნება, არ უნდა ჩაითვალოს ბრუნვაუნარიან ნივთად. სადავოა, რამდენად შეიძლება ადამიანის სხეულის ნაწილი ნასყიდობის საგნად იქნეს მიჩნეული, იმ შემთხვევაში თუ ის გამოცალკევებულია ადამიანის სხეულიდან. ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ნივთი ან ქონებრივი უფლება, არამედ „მათი ნებისმიერი კომბინაცია“ მაგალითად საწარმო არის ხშირ შემთხვევაში როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ნივთებისა და ქონებრივი უფლებების ერთიანობა, რომელიც ცალკე უფლების ობიექტია. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ხელშეკრულების სახელწოდება ნასყიდობის ხელშეკრულების არსეობაზე მიუთითებდეს, თუმცა თავისი შინაარსით ის არპასუხობდეს ნასყიდობის ხელშეკრულების წინაპირობეს²⁶. მაგალითისათვის „სპორტსმენის გამოსყიდვის“ ხელშეკრულება არ განიხილება ნასყიდობის ხელშეკრულებად ასეთად განხილვის

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 21-24

შემთხვევაში ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია სპორტსმენსა და „დამქრავებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება იყოს.

ნასყიდობის ფასი

ფასი განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას და გულისხმობს გარკვეული ხარჯების არსებობას, რაც შედის საქონლის ღირებულებაში. მაშასადამე, საქონლის ფასები უნდა განვსაზღვროთ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფასის დადგენიდან ჯერ კიდევ ნასყიდობის ხელშეკრულების დადგენამდე.

ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი, კანონით გათვალისწინებული პირობა მხარეთა შორის ფასზე შეთანხმებაა. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის საკმარისია მის სასყიდლიანობაზე და არა ზუსტ ფასზე შეთანხმება, თუმცა ფასი უნდა იყოს, სულ მცირე, განსაზღვრადი. კერძოდ, მხარეებმა შეიძლება ღიად დატოვონ ესა თუ ისპ ირობა, მაგრამ უნდა შეთანხმდნენ მომავალში მისი განსაზღვრის საშუალებაზე. შესაბამისად, ფასი შეიძლება იყოს ზუსტად განსაზღვრული ან განსაზღვრადი, თუ მხარეები თანხმდებიან ფასის დადგენის კრიტერიუმებზე სკ-ის 477-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. ფასი განსაზღვრადია ასევე, თუ ხელშეკრულების შინაარსიდან დგინდება მხარეთა ნება, ფასის განსაზღვრა ობიექტური კრიტერიუმებით მოხდეს. ასეთ შემთხვევაში ფასი, როგორც წესი, უნდა იყოს საპასუხო შესრულების შესაბამისი. ფასზე შეთანხმება შესაძლებელია შესრულების მომენიტსათვისაც მოხდეს. შესრულების დროს ფასზე შეთანხმება შესაძლებელია მოხდეს კონკლუდენტურადაც, თუ მყიდველი იხდის განსაზღვრულ ფასს გამყიდველის მიერ შესრულებული ვალდებულების სანაცვლოდ, გამყიდველი კი შესაბამის ანაზღაურებას იღებს შედავების გარეშე. ნასყიდობის ფასი შესაძლებელია იყოს რაიმე ვალდებულების შესრულება, მაგალითად მომსახურების გაწევა, თუ ასეთ შეთანხმებას ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებს ან მხარეები ამის შესახებ შემდგომ შეთანხმდებიან²⁷.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მართებულად განმარტავს, რომ მყიდველის მიერ გამყიდველის სასარგებლოდ მკურნალობის, კომუნალური გადასახადებისა თუ სხვა ხარჯების გაწევა თავისთავად არ შეიძლება მიუთითებდეს ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის გადახდის ვალდებულების შესრულებაზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ მყიდველის ნება გამოხატულია ან დგინდება სხვაგვარად. მიიჩნევა, რომ ნასყიდობის ფასი, (თუ არ არსებობს საპირისპირო შეთანხმება) მოიცავს დღგ-ს. საქართველოს უზენაესი სასამართლო მსჯელობს დღგ-ის ბუნებაზე და მართებულად მიიჩნევს, რომ დღგ, როგორც არა პირდაპირი გადასახადი, საქონლის მიმწოდებელს ეკისრება. შესაბამისად, ის

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 21-24

გამყიდველის ვალდებულებებში შედის და გასაყიდ ფასში უნდა იყოს ასახული. შესაბამისად, ნასყიდობის ფასის მიღმა დღგ-ის მოთხოვნა მყიდველისაგან დაუშვებელია, თუ აღნიშნულზე წინასწარი შეთანხმება არ მომხდარა მხარეებს შორის.

2.2 ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეების ძირითადი უფლებები და მოვალეობანი

2.2.1 გამყიდველის მოვალეობები

ძირითადი ვალდებულებები (სინალაგმატური ვალდებულებები). გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს ნივთი, რომელიც 487-489-ე მუხლების შესაბამისად უნაკლოა, ანუ ხელშეკრულების შესაბამისია. ამ თვალსაზრისით იმიჯნება ინდივიდუალური და გვაროვნული ნივთის გადაცემის ვალდებულება. კერძოდ, გვაროვნული ნივთის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნებისმიერი უნაკლო ნივთი შეთანხმებული პარტიიდან. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში კი გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს სწორედ ის ნივთი, რომელზედაც მოხდა შეთანხმება. აღნიშნულ გამიჯვნას ითვალისწინებს 381-ე და 382-ე მუხლები, რაც თავად სახელშეკრულებლო შინაარსის განსაზღვრისთვის უფლებიდან არის ნაწარმოები და მისი უგულვებელყოფა ვერ მოხდება.

გამყიდველი არის ნებისმიერი პირი, რომელმაც ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის წინაშე იკისრა შესაბამისი ვალდებულების შესრულება. ასეთად ჩაითვლება სააღსრულებო ბიუროც, რომელიც წარმოების ფარგლებში აუქცნოზე ასხვისებს მოვალის ქონებას. გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის მაშინაც, თუ იგი არა უფლებამოსილი პირია.

ა) გადაცემის ვალდებულება გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნივთი და მასზე საკუთრების უფლება. 186-ე მუხლის შესაბამისად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა ხდება ნამდვილი უფლების (მოთხოვნის) საფუძველზე შემძენისათვის ნივთის გადაცემის გზით. გადაცემა, როგორც წესი, უნდა მოხდეს მყიდველისათვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით, ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის, მასზე ზემოქმედების შესაძლებლობის მინიჭებით²⁸. არა პირდაპირი მფლობელობის გადაცემა საკმარისი ამხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის შეთანხმებით ასეთი დგინდება. გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთზე არა პირდაპირ მფლობელობის გადაცემის შემთხვევაში, მან უნდა უზრუნველყოს მყიდველის მიერ ნივთის პირდაპირ მფლობელობაში

²⁸ კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 195

მიღების შესაძლებლობა. უძრავი ნივთის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მყიდველისათვის უზრუნველყოს უძრავ ნივთზე წვდომა და მისი შესაბამისი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა. გადაცემა და მისი ადგილი განსხვავებულად უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, შესრულება შეთანხმებულია მიტანის, წაღების თუ გაგზავნის ვალდებულებით. თუ მხარეები დამატებით არ შეთანხმებულან ივარაუდება, რომ მყიდველმა თავად უნდა წამოიღოს ნასყიდობის საგანი გამყიდველისაგან. ასეთ შემთხვევაში გამყიდველის ვალდებულებაა, უზრუნველყოს მყიდველისათვის ნასყიდობის საგანთან წვდომა, კერძოდ უზრუნველყოს მყიდველისათვის ნივთის წამოღების შესაძლებლობა. გამყიდველს, შესაძლებელია, ნივთის გადაცემის ვალდებულება ჰქონდეს არა უშუალოდ მყიდველის, არამედ მესამე პირის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ მესამე პირისათვის გადაცემა საკმარისია, რათა გადაცემისგ ალდებულება შესრულებულად ჩაითვლება²⁹.

ნასყიდობის საგნის გადაცემა გულისხმობს, როგორც წესი, ნივთზე პირდაპირი მფლობელობის მინიჭებას; თუმცა, შესაძლებელია, არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭებაც საკმარისი იყოს იმისათვის, რომ გადაცემა ჩაითვალოს განხორციელებულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მესამე პირი ნივთის უშუალო მფლობელია და ამის შესახებ მყიდველთან შესაბამისი შეთანხმება იქნება მიღწეული³⁰.

ბ) საკუთრების უფლების გადაცემა განსხვავებულად წესრიგდება საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ და უძრავ ნივთებზე, უფლებაზე. ბ.ა) მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა სკ-ის 186-ე მუხლის თანახმად ხდება მესაკუთრის მიერ ნამდვილი უფლების (მოთხოვნის) საფუძველზე ნივთის გადაცემით. გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით ნივთზე საკუთრების უფლების განკარგვა რომ ნამდვილი იყოს, აუცილებელია მას საფუძველად ედოს ნამდვილი ვალდებულებით სამართლებრივი გარიგება ან კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა. შესაბამისად, ტერმინი „უფლება“ „მოთხოვნად“ უნდა განიმარტოს, რაც გამორიცხავს გაუგებრობებს ნორმის განმატებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გამიჯვნა არსებითია 187-ე მუხლთან მიმართებით, რომლიც ითვალისწინებს საკუთრების უფლების გადაცემის შესაძლებლობას არა უფლებამოსილი პირის მიერ, რომელსაც არ აქვს ნივთის განკარგვის „უფლება“, თუმცა მის მიერ განხორციელებული განკარგვა შესაძლოა ნამდვილი იყოს და შემძენი გახდეს მესაკუთრე 187I და II ნაწილით გათვალისწინებული წესის გათვალისწინებით. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის კანონმდებლობა შეიძლება ადგენდეს დამატებით სპეციალურ წესს.

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 34

³⁰ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2011, გვ. 350

მაგალითისათვის, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონის 91-ე მუხლის თანახმად, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების წარმოშობა „იურიდიულ ძალას იძენს სსიპ-ში—საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში—რეგისტრაციის მომენტიდან“³¹. მიუხედავად ნორმის მკაფიო ფორმულირებისა, სასამართლო განსხვავებულად განმარტავს აღნიშნულ წესს. სასამართლოს განმარტებით, „ავტომანქანა წარმოადგენს რა მოძრავ ნივთს, მასზე უნდა გავრცელდეს ამ კატეგორიის ნივთებთან დაკავშირებული საკუთრების გადაცემის სამართლებრივი რეჟიმი და შემდგომში საკუთრების უფლების გადასვლის მომენტის განსაზღვრის საკითხი (ანუ კერძო-სამართლებრივი შედეგი—სანივთო უფლების წარმოშობის მომენტი) უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კოდექსით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესის შესაბამისად.“ შესაბამისად, 2012 წლის 28 მაისს მიწოდების საფძველზე ავტომანქანის გასხვისებისათვის მისი რეგისტრაცია სავალდებულოდ არ მიიჩნია³². სასამართლოს ამგვარი განმარტება სადავოა და არ გამომდინარეობს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონის 91-ე მუხლის ფორმულირებიდან, ვინაიდან ნორმა პირდაპირ მიუთითებს რეგისტრაციის შესაბამის სამართლებრივ შედეგებზე და განსაზღვრავს, რომ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას უკავშირდება. ნორმის დღევანდელი მკაფიო ფორმულირებისაგან განსხვავებული იყო მოწესრიგება 1999 წლის 28 მაისის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-9 მუხლით, რაც რეგისტრაციის მოქმედი წესისა განგანსხვავებულ მიზნებზე მიუთითებდა³³. ბ.ბ) უძრავი ნივთზე სკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. წერილობითი გარიგებით შემდგომში წარმოეშობა უფლება, მოსთხოვოს გამსხვისებელს საჯარო რეესტრში მისი უფლების აღრიცხვა. თუ გამყიდველი ნებაყოფლობით არასრულებს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებას, მყიდველმა სასარჩელო წესით უნდა მოითხოვოს გამყიდველის მიერ ვალდებულების შესრულება (საკუთრების უფლების გადაცემა). თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით „საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არ წარმოადგენს გარიგების

³¹ 4204/04/1995 წლის საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონი, საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი №1544-სსმ, №21,03.08.2009 ცვლილება; შდრ. ასევე მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის ბრძანება N 150, 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი.

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 იანვრის N ას-503-476-2014 გადაწყვეტილება.

³³ ჩაჩავა, ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-1, გვ. 42-45

ფორმას და ზეგავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობაზე. უფრო მეტიც, ნამდვილი ნების საფუძველზე წერილობითი ფორმით დადებული გარიგება საჯარო რეესტრში უფლების აღრიცხვის საფუძველია. წერილობითი გარიგებით შემძენს წარმოშობა უფლება, მოსთხოვოს გამსხვისებელს საჯარო რეესტრში მისი უფლების აღრიცხვა. წერილობით გარიგებად ჩაითვლება ასევე მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსის შემცველი მორიგების აქტი, რომელიც ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას შეიცავს.“ ბ. გ) უფლებაზე სკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს შემძენი³⁴. გ) საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულების წარმოშობის მომენტი ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან მხარეთა ვალდებულების შესრულების დროზე. შესაბამისად გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთი და მასზე საკუთრების უფლებას ხელშეკრულებით დათქმულ დროს. ასეთის არარსებობის შემთხვევაში მყიდველს, 365-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს გამყიდველისაგან ვალდებულების შესრულება. გამყიდველი კი ვალდებულია (და არა უფლებამოსილი, როგორც ეს მუხლშია ჩამოყალიბებული, შდ რ. 365-ე მუხლის კომენტ.), მოთხოვნისთანავე გონივრულ ვადაში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. გამყიდველი უფლება მოსილია, უარი სთქვას ნივთისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემაზე 369-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს ეკისრება წინმსწრები საპასუხო ვალდებულება, რომელიც მას ჯერ არ შეუსრულებია. ვალდებულების შესრულებისაგან თავის შეკავების უფლება გამოირიცხება, თუ გამყიდველმა ხელშეკრულებით იკისრა თავისი ვალდებულების წინასწარი შესრულება პირობა დებული საკუთრების შემთხვევაში ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულება წარმოიშვება მხოლოდ მას შემდეგ რაც მყიდველი სრულად გადაიხდის შეთანხმებულ საფასურს. (შდრ. სკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) დ) ნივთთან დაკავშირებული საბუთები ნივთისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემასთან ერთად, გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს ნივთთან დაკავშირებული საბუთები ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მოწესრიგება ეხმიანება ვენის ნასყიდობის კონვენციის რეგულირებას, კერძოდ 34-ემუხლს. ნივთთან დაკავშირებულია ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც მისი იდენტიფიცირების ან შემდგომი შეუზღუდავი გამოყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ასეთი შეიძლება იყოს ნივთის ტექნიკური პასპორტი (მაგ. ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში), ფოსტაში

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 30

ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწოდებისა თუ გადაზიდვის დამადასტურებელი საბუთი, ხელშეკრულებები, დაზღვევის პოლისი და სხვა. ნივთთან დაკავშირებულია ასევე ნასყიდობის საგნის წარმოშობის დამადასტურებელი მოწმობა, სერტიფიკატი, საექსპერტო დასკვნა, საჭირო ქვითარი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე შეთანხმებულია ან ივარაუდება. საბუთები ცალკეულ შემთხვევაში მყიდველს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ნივთი მფლობელობაში, გაასხვისოს, წაუყენოს შესაბამისი პრეტენზიები როგორც უფლებამოსილმა პირმა გადამზიდველს, შემნახველს და სხვა პირებს³⁵.

გამყიდველის დამატებითი ვალდებულებები წარმოიშობიან გარიგების სახეობისა და მოცულობის მიხედვით. დამატებითი ვალდებულებები ემსახურებიან ხელშეკრულების შესრულებას. ასეთებია, მაგალითად, ნასყიდობის ნივთის შეფუთვა, გარკვეული სახის ინფორმაციის მიწოდება (მოხმარების ინსტრუქცია, განსაკუთრებულ საფრთხეზე მინიშნება). სასამართლო პრაქტიკა გამყიდველის კონსულტაციის გაწევის ვალდებულებას მიიჩნევს არა მარტო დამატებით ვალდებულებად, არამედ, გარემოებების გათვალისწინებით, როგორც დამოუკიდებელ, ძირითად ვალდებულებად, გამომდინარე კონკლუდენტურად დადებული კონსულტაციის შესახებ ხელშეკრულებიდან. გამყიდველის მიერ კონსულტაციის გაწევის ამგვარი დამოუკიდებელი ვალდებულება მოიცავს ნასყიდობის საგნის გამოყენებისათვის მნიშვნელოვან თვისებრიობაზე მითითებებს, რომლებიც მან იცის ან უნდა იცოდეს. აქედან გამომდინარე, მყიდველი არ უნდა მოელოდეს (როგორც წესი) გამყიდველისაგან იმ შორეული რისკების შესახებ ინფორმაციის მიღებას, რომლებიც (როგორც წესი) მხოლოდ პროდუქტის მწარმოებლისთვის არის ცნობილი³⁶.

შესაბამისად, დოკუმენტების მიწოდება შეთანხმებულ ,ან შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში შესაბამის, გონივრულ ვადაში უნდა მოხდეს. ხელშეკრულების შეუსაბამოა დოკუმენტი, თუ ის არ შეიცავს იმ მონაცემებს რაც ხელშეკრულებითაა შეთანხმებული, ასევე თუ მითითებული ინფორმაცია არა ზუსტია ან არ არის ამომწურავი. ასეთ შემთხვევაში, მყიდველს აქვს ნაკლიანი შესრულების შესაბამისი მეორადი მოთხოვნების განხორციელების უფლება. ვენის ნასყიდობის სამართალი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც გამყიდველი მყიდველს აწვდის დოკუმენტებს შეთანხმებულ ვადაზე ადრე. თუ დოკუმენტები ხელშეკრულების შეუსაბამოა, გამყიდველს შეთანხმებულ ვადამდე უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება და დაზუსტება დოკუმენტებში, ასევე მიაწოდოს ახალი დოკუმენტები. თუმცა ხარჯები, ისევე როგორც ზიანი, რომელიც დადგება

³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 30-32

³⁶ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2011, გვ. 315-320

გამყიდველის მიერ ვადაზე ადრე მიწოდებული დოკუმენტების მიწოდებით, თავად გამყიდველს ეკისრება. საბუთების გადაცემა თავისთავად არ გულისხმობს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთისა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემას, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია ნივთთან დაკავშირებული საბუთების გადაცემა ასეთ ნებას შეიცავდეს. ასეთ შემთხვევაში, ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს მხარეთა ნების განმარტება. ნივთთან დაკავშირებული საბუთების გადაცემის ვალდებულება ძირითად ვალდებულებად განიხილება, თუ საბუთების გადაცემა ნასყიდობის საგნის გადაცემის აუცილებელი და განუყოფელი წინაპირობაა³⁷.

2.2.2 მყიდველის ძირითადი და არაძირითადი ვალდებულებები

ა) ფასის გადახდის ვალდებულება. ნასყიდობის ფასის გადახდა მყიდველის (სინალაგმატური) ძირითადი ვალდებულებაა. როგორც წესი, მყიდველი ვალდებულია ნაღდი ანგარიშსწორებით განახორციელოს გადახდა; თუმცა, შესაძლებელია, ხელშეკრულებაში ან ოფიციალური მიმოწერისას წერილის სათაურში მითითებული იყოს საბანკო ანგარიშის ნომერი; ამ შემთხვევაში, შესაძლებელია უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდა³⁸. ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ნასყიდობის შეთანხმებული ფასი. თუ ფასზე შეთანხმების არ არსებობის მიუხედავად დგინდება მხარეთა ნება ფასზე შეთანხმების გარეშე ხელშეკრულების დადების ნება, ნასყიდობის ფასი შეიძლება დადგინდეს საბაზრო ფასის, მესამე პირის შეფასების ან სხვა ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, რაც შესაბამისი იქნება გათვალისწინებული საპასუხო შესრულების სანაცვლოდ³⁹. ბ) მიღების ვალდებულება. მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის მიღება არის მისი დამატებით ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამყიდველი, ცალსახად, ნივთის გადაცემითაა დაინტერესებული, მაგალითად, მაშინ, როდესაც იგი ცდილობს, რაც შეიძლება მალე გაასხვისოს მთლიანი საქონელი, რათა გამოათავისუფლოს შენობა⁴⁰. მყიდველი ვალდებულია, მიიღოს ნივთი და მასზე საკუთრების უფლება. აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს გამყიდველის მიერ შეთავაზებული შესრულების მიღებას⁴¹, კერძოდ ნასყიდობის საგნის მფლობელობაში და

³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 32

³⁸ კროპჭოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2011, გვ. 318

³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 32

⁴⁰ კროპჭოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2011, გვ. 330

⁴¹ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 41

საკუთრებაში მიღებას. მყიდველი თავისუფლდება მიღების ვალდებულებისაგან მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ საფუძვლების არსებობისას (ვრცლად იხ. 487-ე მუხლის კომენტ.). მყიდველის მიერ შესრულების მიღების ვალდებულების „უფლებად“ განმარტება სადავოა თავად 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირების გათვალისწინებით⁴².

მყიდველის სხვა დამატებითი ვალდებულებებია: მაგ. გაგზავნის ხარჯების გადახდის ვალდებულება, ნოტარიული დამოწმების ხარჯები და ა.შ.⁴³

მხარეებს 477-ე მუხლით გათვალისწინებულ ძირითად ვალდებულებასთან ერთად ეკისრებათ 316-ე მუხლის შესაბამისი არა ძირითადი ვალდებულებები. არა ძირითადი ვალდებულებები უშუალოდ არ არის დაკავშირებული ძირითად ვალდებულებასთან, თუმცა მისგან გამომდინარეობს. ამ ვალდებულებათა შინაარსის განსაზღვრა ვალდებულების წარმოშობის მომენტში ხშირად შეუძლებელიცაა და მისი დაკონკრეტება ვალდებულების განხორციელების პროცესში ხდება. არა ძირითად ვალდებულებები იმიჯნება შესრულებასთან დაკავშირებულ და დაცვითი „ფუნქციის“ მქონე ვალდებულებებად. მაგალითად, შესრულებასთან დაკავშირებულია ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (მაგ. ნივთთან დაკავშირებული რისკებისა თუ ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ), ასევე მოვალისათვის ვალდებულების შესრულებაში ხელშეწყობა. დაცვითი „ფუნქციის“ მქონე ვალდებულების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმართონ იმგვარად, რომ არ დაუშვან მეორე მხარის უფლებებისა და ინტერესების ხელყოფა. ზოგიერთი მათგანი ნასყიდობის მარეგულირებელ ნორმებში პირდაპირაა მოწესრიგებული. თუმცა, ასეთი სპეციალური მოწესრიგების არ არსებობის მიუხედავად, ყოველი კონკრეტული ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით განისაზღვრება. ასეთი შეიძლება იყოს ნივთის გარკვეული დროით შენახვის ან შეფუთვის ვალდებულება⁴⁴.

⁴² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 35

⁴³ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2011, გვ. 332

⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 37

2.3 ნივთის დალუპვის რისკი და ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი

საქონლის შემთხვევითი დაკარგვის (დაზიანების) რისკი მყიდველზე გადადის მასზე საქონლის გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტიდან. თუ საქონელი გაიყიდა, როდესაც ის გზაზე იმყოფებოდა - ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

მყიდველი ფრთხილად უნდა იყოს როგორც საქონლის ტრანზიტში ყოფნის დროს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, ასევე ხელშეკრულების პირობების მიღებისას, თუ პირველი ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა შეიძინოს მყიდველზე რისკის გადაცემის პირობები, პირველ რიგში გადაზიდვისას, მხედველობაში უნდა ჰქონდეს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების შესაძლებლობა ხელშეკრულების დადებამდე.

სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლი განსაზღვრავს ნივთის შემთხვევით დალუპვის რისკის გადასვლას.

1. გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევით დალუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.
2. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დალუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს⁴⁵.

მოწესრიგების მიზანია, განსაზღვროს, როდის გადადის მყიდველზე ნივთის შემთხვევითი დალუპვისა თუ გაფუჭების რისკი. რისკის გადანაწილების პრინციპი ნივთზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის მიხედვით განისაზღვრება. მოწესრიგება ვრცელდება ნასყიდობის ნებისმიერ შემთხვევაზე, მოძრავ და უძრავ ნივთებზე და ასევე უფლებაზე თუ ამ უფლების შექმნა ნივთზე მფლობელობის უფლებას წარმოშობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული რეგულირება, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა და ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა ერთდროულად არ ხორციელდება. გამართლებულია, სწორედ იმ პირმა უნდა იტვირთოს ნივთის შემთხვევითი დალუპვის ან დაზიანების რისკი, რომელიც მასზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს. ამ პრინციპის გათვალისწინებით, უდავოა, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ნივთის გადაცემის შემდეგ ნივთის შემთხვევითი დალუპვის რისკი სწორედ მყიდველზე გადადის. ეს

⁴⁵ იქვე, გვ. 40,41

წესივრცელდება, მათ შორის, პირობდებული საკუთრების შესახებ შეთანხმებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში.

გასათვალისწინებელია, რომ რისკის გადასვლის შემდეგ მყიდველი ვალდებულია, შეასრულოს საპასუხო შესრულება, მათ შორის, მაშინ, თუ არსებობს 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული წიპაპირობები.

1. გადაცემა

პირველ რიგში ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს რას გულისხმობს გადაცემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითისათვის, საინტერესოა გერმანული განმარტება, რომლის მიხედვითაც გაზის, წყლისა და ელექტრო დენის მიწოდებისას გადაცემად ითვლება მრიცხველზე აღრიცხვა. გადაცემის შეფასებისას გასათვალისწინებელია ასევე, სახეზეა წაღების, მიტანის თუ გაგზავნის ვალდებულება. წაღების ვალდებულების შემთხვევაში გადაცემა განხორციელებულად ჩაითვლება, როდესაც მყიდველისათვის წასაღებ მდგომარეობაში გამოცალკევებული ნივთის ჩატვირთვას დაიწყებს მყიდველი. მიტანის ვალდებულების შემთხვევაში, გადაცემა სახეზეა ტრანსპორტირების დასრულებისა და მყიდველის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ მიღების შემთხვევაში. მიტანის ვალდებულება 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოწესრიგების სფეროში ექცევა და რისკის გადასვლის მომენტი სრულიად განსხვავდება გაგზავნის ვალდებულების შემთხვევისაგან. კერძოდ, თუ მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე მყიდველი გზავნის ნივთს, რისკი გადასულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა გადასცა ნივთი გადამზიდველს. გამონაკლისი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში.⁴⁶

2. რისკის გადასვლის მიზნებისათვის კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას გადაცემა განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ მყიდველზე ასეთ შემთხვევაში გადავა შემთხვევითი დალუპვის რისკი მიუხედავად იმისა რომ ფაქტობრივი გადაცემა არ მომხდარა. შესაბამისად, მყიდველი ვალდებული იქნება, გადაიხადოს ნივთის ღირებულება სრულად, თუ ნივთი დაზიანდა ან განადგურდა მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემთხვევითობის საფუძველზე. კრედიტორის მიერ ნივთის ღირებულების გადახდის ვალდებულება, ცხადია, არ წარმოიშობა, თუ სახეზეა მოვალის ბრალი ან მის მიერ არა ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რამაც გამოიწვია ნივთის განადგურება-დაზიანება. რისკის გადასვლის ფარგლები—ნივთზე შემთხვევითი დალუპვის რისკი.

3.ა) დალუპვა

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ.32,33

ნივთის დაღუპვა ეკონომიკური გაგებით მოიცავს ნებისმიერ შემთხვევას, რომლის შედეგად მყიდველი ნივთის გამოყენების შესაძლებლობას კარგავს. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მათ შორის, თუ ნივთი მოპარულია, ან სხვაგვარად ნების საწინააღმდეგო გავიდა მფლობელობიდან. კერძოდ, ნივთი შესაძლოა არ დაღუპულა და არც დაზიანებულა, მაგრამ მსგავს შემთხვევაზე სასურველია მოცემული შემადგენლობის ფარგლებში „დაღუპვა“ ფართოდ განიმარტოს მოწესრიგების მიზნის გათვალისწინებით.

ბ) გაფუჭება

გაფუჭება ეს არის ნივთის სხეულებრივი (ფიზიკური) თვისობრიობის შეცვლა, ხარისხობრივი ღირებულების შემცირება.

გ) შემთხვევითობა

აუცილებელია, სახეზე იყოს შემთხვევითი დაღუპვა ან გაფუჭება. შემთხვევითობა არ გულისხმობს მხოლოდ დაუძლეველ ძალას, არამედ მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რომელიც არცერთი მხარის პასუხისმგებლობის ქვეშ არ ექცევა. შესაბამისად, შემთხვევითობა გამოირიცხება, თუ ნივთის დაღუპვა ან გაფუჭება ნივთის ნაკლით ან გამყიდველის მიერ სხვა ვალდებულების დარღვევით არის განპირობებული. გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევამ (მაგალითად შესაბამისი შეფუთვის პირობების დარღვევა) შესაძლოა გამორიცხოს რისკის გადასვლა მყიდველზე, თუ ნივთის დაზიანება ან განადგურება სწორედ ვალდებულების დარღვევის შედეგად იმ რისკების რეალიზებას მოჰყვა, რომელიც დაუშვა გამყიდველმა ბრალეულად⁴⁷. მყიდველისათვის ნივთის გადაცემის მიუხედავად, მასზე არ გადავა შემთხვევითი დაღუპვის რისკი ნივთის მოწონების პირობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, ნივთი მყიდველზე გადაცემულად ჩაითვლება რისკის გადასვლის მიზნებისათვის მხოლოდ მყიდველის მიერ ნივთის მოწონების შემთხვევაში.

4. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს. მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება, თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გზავნის ნივთს სხვა ადგილას „ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული“ არაზუსტია. სასურველია, ნორმა განიმარტოს იმგვარად, რომ ის ერთნაირად გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც მხარეთა შორის ხელშეკრულებით წინასწარ ან შემდგომ მოხდა გაგზავნის შესახებ შეთანხმება. აქ უმნიშვნელოა, მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ

⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 32,33

გაგზავნის ვალდებულებაზე თუ შემდეგ მოხდა ხელშეკრულების მოდიფიცირება დამატებითი პირობით. 21482-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს გამონაკლისს ამავე მუხლის 1-ლი ნაწილისაგან. კერძოდ, გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში, შემთხვევითი დაღუპვის რისკი გადადის მყიდველზე არა გადაცემის, არამედ უკვე ტრანსპორტირებისათვის გადაცემის მომენტში. ასეთი მიდგომა აიხსნება იმით, რომ გამყიდველი, ჩვეულებრივ, ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნივთი მყიდველის მიერ ე.წ. „წამოღების“ ვალდებულების ფარგლებში. შესაბამისად, გამყიდველი, რომელიც მყიდველის სურვილით მზად არის, გაუგზავნოს მყიდველს ნივთი, არ უნდა აღმოჩნდეს უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის გამყიდველი, რომელიც მყიდველს გადასცემს ნივთს ადგილზე. ანალოგიურია გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში რისკის გადასვლის წესი ვენის ნასყიდობის კონვენციის მიხედვით. ასეთი მიდგომა აიხსნება ასევე იმ გარემოებით, რომ გამყიდველი ნივთის პირველივე გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტიდან კარგავს ნივთზე კონტროლს (მისი დაცვისა და მასზე ზედამხედველობის რეალურ შესაძლებლობას). შესაბამისად, მართებულია, რომ რისკი მყიდველმა იკისროს, ვინაიდან სწორედ მისი სურვილით ხდება ნივთის გაგზავნა⁴⁸. გადამწყვეტი არგუმენტი, რომელიც აღნიშნულ კონსტრუქციას ამართლებს ის არის, რომ ტრანსპორტირება შესაბამისი და გამართული მიწოდების რისკ ზრდის, რომელიც მიზანშეწონილია მყიდველმა იკისროს, ვინაიდან სწორედ მისი ინიციატივით ხდება ვალდებულების შესრულება ამ გზით. მყიდველის მოთხოვნა, მხარეთა შეთანხმებად უნდა განიმარტოს მიუხედავად იმისა, შეთანხმება ხელშეკრულებაში თავიდანვე მოხდა თუ აღნიშნული მოთხოვნა მყიდველმა შემდეგ წარადგინა. ეს წესი არ გავრცელდება შემთხვევებზე, თუ მყიდველი საკუთარი ინიციატივით გზავნით ნივთს. კერძოდ, თუ მყიდველის ნება გაგზავნის შესახებ არ არსებობს და გამყიდველ უფლებამოსილი გარეშე გზავნის ნივთს. მეტიც, გამყიდველის მიერ ნივთის თვითნებური გაგზავნის შემთხვევაში არათუ რისკი არ გადავა მყიდველზე, არამედ მას შესაძლოა, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურებაც კი დაეკისროს ვალდებულების დარღვევის გამო. ამ შემთხვევაში, გადამზიდველისა თუ გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირისათვის ჩაბარება გულისხმობს გამყიდველის მიერ იურიდიული თუ ფაქტობრივი ზომების ერთობლიობის მიღებას. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს გამყიდველის მიერ გადაზიდვის ხელშეკრულების დადება, შესაბამისი დოკუმენტების გადამზიდველისათვის გადაცემა, თავად ნივთის გადაცემა და სხვა ისეთი ზომების მიღება, რაც დაადასტურებს, რომ გამყიდველმა თავის მხრიდან ყველაფერი განახორციელა ვალდებულების შესასრულებლად. გამყიდველმა არა მხოლოდ უნდა გამოაცალკევოს და

⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 33

წლებისათვის მოამზადოს ნივთი, არამედ მიზნობრივად უნდა გადასცეს ტრანსპორტირებაზე უფლებამოსილ პირს მყიდველისათვის გადაცემის მიზნის დაკონკრეტებით. გადამზიდველი ან გადაზიდვაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი გადამზიდველი სატრანსპორტო კომპანია, ისევე როგორც ფოსტა, რკინიგზა და სხვ. რამდენად გამართლებულია, გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში, გამყიდველთან მჭიდროდ დაკავშირებული პირები გადაზიდვის შესრულებაზე უფლებამოსილ პირებად ჩაითვალოს ამ მოწესრიგების მიზნებისათვის, სადავოა. სამსჯელოა, მხარეთა შორის ასეთი შეთანხმების არსებობა ხომ არ მიუთითებს თავისთავად მიტანის და არა გაგზავნის ვალდებულებაზე შეთანხმების არსებობას, რაც, 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით, განსხვავებულ წესს ადგენს. კერძოდ თუ გამყიდველი, რომელიც გადასცემს ნივთს ტრანსპორტირებისათვის მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირს, ინარჩუნებს ნივთზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, რისკის მყიდველზე გადასვლას არ იქნება გამართლებული. გერმანულ დოქტრინაში საპირისპირო მოსაზრებაც განიხილება, რომლის თანახმად, გამყიდველის მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირების მეშვეობით გაგზავნის განხორციელება არ გამორიცხავს გაგზავნის ვალდებულების შესაბამისად რისკის მყიდველზე გადასვლის შესაძლებლობას. გერმანული მიდგომისაგან განსხვავებით, DCFR-ის განმარტებების თანახმად, უდავოდ მიიჩნევა, რომ გაგზავნის ვალდებულების შემთხვევისათვის გათვალისწინებული მოწესრიგება არ უნდა გავრცელდეს შემთხვევებზე, როდესაც გამყიდველი საკუთარ დასაქმებულს ან სატრანსპორტო საშუალებას იყენებს ნასყიდობის საგნის „გაგზავნისათვის“. შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ნორმის გამოყენების წინაპირობაა მხარეთა შორის ნასყიდობი საგნის გაგზავნის ვალდებულების შესახებ შეთანხმება. შესაბამისად, მხარეთა შორის გაგზავნის ვალდებულებაა შეთანხმებული თუ მიტანისა, ხელშეკრულების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს. შესაბამისად ის გარემოება, თუ ვინ ახორციელებს ტრანსპორტირებას, შესაძლებელია იყოს შეთანხმების არსებობის დადგენის ერთ-ერთი მაგრამ არა ერთადერთი კრიტერიუმი. შესაბამისად, ეს გარემოება სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში უნდა განაალიზდეს ხელშეკრულების განმარტებისას⁴⁹.

მუხლი 484. ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი

1. ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს

⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 34,35

რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს.

2. უარი დაუშვებელია, თუ ამ მხარის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია.

მოწესრიგების მიზანია, დაიცვას ხელშემკვრელი მხარის ინტერესი, რომელსაც აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მეორე მხარე ვერ ან არ შეასრულებს ნაკის რვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა არ დამდგარა. შესაბამისად, მეორე მხარეს აქვს არჩევანი, გამოიყენოს აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ზემოქმედების საშუალება, რათა მხარეს უზიდავოს ვალდებულების შესრულებისაკენ. ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ იგი დაინტერესებულია, მიიღოს შესრულება. მოწესრიგება მიზნად ისახავს სამოქალაქო ბრუნვის სისწრაფის ხელშეწყობას შეძლებისდაგვარად მცირე დანაკარგებით. ამ თვალსაზრისით, უფლებამოსილი პირი საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფასთან ერთად, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, ცდილობს, გამორიცხოს იმ ზიანის დადგომა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას, თუ იგი შესრულების ვადის დადგომამდე რეაგირებას არ მოახდენს აღნიშნულზე. 415-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოვალე ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები, რათა შეამციროს მოსალოდნელი ზიანი. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარე შესაძლოა ვალდებული იყოს 484-ე მუხლის საფუძველზე უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე. კერძოდ, როდესაც ამ მუხლის შემადგენლობა სახეზეა და უფლებამოსილი ხელშემკვრელი მხარისათვის შეცნობადია, რომ უფლების გამოყენებით მხარე მოსალოდნელი ზიანის შემცირებას შეძლებს.

ამგვარად მოწესრიგება ერთგვარ პრევენციულ ზომად უნდა ჩაითვალოს და მოვალის წინასწარ გაფრთხილებას ისახავს მიზნად. ამასთან, უფლებამოსილი პირის მიერ ამ უფლების გამოყენება ხელშეკრულების შესრულების ინტერესს სემსახურება, თავიდან იქნეს აცილებული უფრო მკაცრი ზომები (როგორცაა, მაგ. ხელშეკრულება ზეუარი) მაშინ, როდესაც მოვალეს, შესაძლებელია, შესრულება განეხორციელებინა. მოწესრიგების მიზანია, შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ხელშეკრულების შესრულებას, მის შენარჩუნებას იმგვარად, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები არ დადგეს⁵⁰. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირისათვის ვადაში შესრულება არსებითია. 484-ე მუხლი გარკვეულწილად 369-ე მუხლის მოდიფიცირებას/დაკონკრეტებას ახდენს ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში. კერძოდ, 369-ე მუხლის თანახმად, მხარეს, რომელსაც

⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 29, 30

ნასყიდობის ხელშეკრულებით აკისრია ვალდებულება, უფლება აქვს, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედებების განხორციელებამდე. თუმცა 484-ე მუხლი 369-ე მუხლისაგან განსხვავებით აფართოვებს მოსალოდნელ საპასუხო მოქმედებათა ფარგლებს და აკონკრეტებს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს აქვს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება. გერმანულ დოქტრინაში უდავოდ მიიჩნევა, რომ აღნიშნული მოწესრიგებადის პოზიციურია და მისგან განსხვავებული შეთანხმება, მათ შორის ხელშეკრულების სტანდარტული პირობებითაც კი, დასაშვებია.

ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია, უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე ამ უხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას. უფლება წარმოიშობა, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს. ტერმინი „აღმოჩნდება“-ს გამოყენებით კანონმდებელი განსაზღვრავს მეორე მხარის მიერ ვალდებულების მნიშვნელოვანი ნაწილის შეუსრულებლობის რეალური საშიშროების არსებობის ობიექტურ კრიტერიუმს. კერძოდ, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ ჩვეულებრივ, ობიექტური თვალსაწიერიდან, რა მომენტიდან იყო შეცნობადი ვალდებულების დარღვევის საფრთხე. შესაბამისად, უმნიშვნელოა, აღნიშნული გარემოება არსებობდა თუ არა ხელშეკრულების დადებამდე, მნიშვნელოვანია, რომ იგი შეცნობადი ობიექტურად ხელშეკრულების დადების შემდგომ გახდა⁵¹.

ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა არ არის შეზღუდული ვადაში და მისი განხორციელება, არ არის აუცილებელი, საშიშროების შეტყობიდან დაუყოვნებლივ განხორციელდეს. აღნიშნული უფლებისგან ხორციელება სავალდებულო ფორმას არ მოითხოვს. ვენის ნასყიდობის კონვენციის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილისაგან განსხვავებით ასევე არ ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის მიერ მოვალისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, ასეთი ვალდებულება, შესაძლოა, გამომდინარეობდეს 316-ე მუხლის შინაარსიდან. შესაბამისად, მიზანშეწონილია მისი განხორციელების მართლზომიერებისა თუ ნამდვილობისათვის სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული უფლების გამოყენების შესახებ მეორემ ხარისათვის შეტყობინება.

⁵¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ. 29,30

2.4 უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა და უფლებრივად უნაკლო ნივთი

მუხლი 487. უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

მყიდველისათვის უნაკლო ნივთის გადაცემა გამყიდველის ძირითადი ვალდებულებაა. ნორმა 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დაკონკრეტებაა ნასყიდობის სამართალში. ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლი დეტალურადაა განმარტებული 488-ე და 489-ე მუხლებში. გასაანალიზებელია, 487-ე მუხლის მოწესრიგებას აქვს თუ არა გერმანულ სამართალში დამკვიდრებული დატვირთვა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 433-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ანალოგიურ მოწესრიგება შეიცავს. გერმანული დოქტრინის თანახმად, მყიდველი, როგორც წესი, უფლებამოსილია, უარი თქვას ნაკლიანი შესრულების მიღებაზე. თუმცა თუ კრედიტორი მიიღებს შეთავაზებულ შესრულებას და შემდგომ სადავოდ ხდის ვალდებულების შესრულებას იმ დასაბუთებით, რომ შესრულება ხელშეკრულების შეუსაბამო, ნაკლიანია ან არასრულია, ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მას ეკისრება. შესაბამისად, შესაძლებელია მყიდველის მოთხოვნები შესრულების მიღებამდე და მას შემდეგ განსხვავებული იყოს. კერძოდ, თუ პირი არ იღებს შესრულებას იმ დასაბუთებით, რომ ნივთი ნაკლიანია, ასეთ შემთხვევაში შესრულება სახეზე არ არის და მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს კვლავ უნაკლო ვალდებულების შესრულება⁵². მყიდველის მიერ ნაკლიანი შესრულების მიღებაზე უარი ამასთანავე, შესაძლებელია, დამატებითი ვადის განსაზღვრად ჩაითვალოს და, დადგენილ ან გონივრულ ვადაში გამყიდველის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე უარის უფლება წარმოიშვას. ნაკლის არსებობა. გერმანულ სამართალში განხილულიამოსაზრება, რომ შესრულების მიღებაზე უარის უფლება მყიდველს იმ შემთხვევაშიც უნდა ჰქონდეს, თუ ნაკლი უმნიშვნელოა. ასეთი მიდგომა ნაკლებად გასაზიარებელია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მყიდველს უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არ აქვს. გასაზიარებელია ვენის ნასყიდობის სამართალში დამკვიდრებული მიდგომები. კერძოდ, კონვენციის მე-60 მუხლის მიხედვით, მყიდველს ეკისრება ნივთის მიღების ვალდებულება. მყიდველი, როგორც წესი, უფლებამოსილია, უარი თქვას შესრულების მიღებაზე სახელშეკრულებო ვალდებულების არსებითად დარღვევის

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, გვ 31, 32

შემთხვევაში. უმნიშვნელო ვალდებულების დარღვევისას მყიდველი უფლებამოსილი იქნება, უარი თქვას შესრულების მიღებაზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად განმარტების საფუძველზე. გასათვალისწინებელია ასევე გერმანულ დოქტრინაში დამკვიდრებული მიდგომები ნაკლიანი შესრულების მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაც, სამართლებრივი შედეგების ჭრილში, უპირატესობას ანიჭებს მყიდველს ნაკლიანი შესრულების მიღებისა და შემდგომ ნაკლის გამო დავის შემთხვევებისათვის.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 293-ე პარაგრაფი, სკ-ის 390-ე მუხლის მსგავსად, ადგენს, რომ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება სახეზეა, თუ ის არ იღებს მისთვის შეთავაზებულ შესრულებას. თუმცა, სკ-ისაგან განსხვავებით, 294-ე პარაგრაფი აზუსტებს, რომ მოვალის მიერ „შეთავაზებული“ შესრულება უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, როგორც ის უნდა შესრულდეს. საყურადღებოა ასევე, რომ გერმანული დოქტრინის თანახმად, მყიდველის (კრედიტორის) მიერ ვადის გადაცილებადარ ჩაითვლება, თუ ის (მყიდველი) არ იღებს ნაკლიან შესრულებას. სკ გერმანიის მსგავს რეგულირებას არ შეიცავს. თუმცა, თუ გამყიდველი მყიდველს სთავაზობს 361-ე, 380-ე და 487-489 მუხლების მოთხოვნების შეუსაბამო შესრულებას, გამართლებულია, მყიდველს ჰქონდეს უფლება, სკ-ის 487-ე და 390-ე მუხლების განმარტების საფუძველზე, უარი თქვას შესრულების მიღებაზე. მისი ქმედება 390-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად არ უნდა ჩაითვალოს. მყიდველის მიერ ნაკლიანი ნივთის მიღების შემთხვევაში, გამყიდველს აქვს უპირატესობა, დამატებითი შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში, თავად აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი დამატებითი შერულების სახე⁵³. კერძოდ, გამყიდველი 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გვაროვნული ნივთის ნაკლის შემთხვევაში, თავად წყვეტს, სურს გამოსწაროს ნაკლი თუ ნაკლიანი ნივთი შეცვალოს უნაკლო მივით. ამ მიდგომისაგან განსხვავებით, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, შესაძლებელია, გამართლებული იყოს, მყიდველის მიერ ნაკლიანი ნივთის მიღებაზე უარის შემთხვევაში, მას, გერმანული მიდგომის მსგავსად, ჰქონდეს უპირატესობა, უარი თქვას ნაკლის გამოსწორების მოთხოვნაზე და უპირობოდ მოითხოვოს კვლავ უნაკლო ნივთის გადაცემა. ასეთ შემთხვევაში, მყიდველის ინტერესი უნდა იყოს დასაბუთებული და გამყიდველის ინტერესების არათანაზომიერ ხელყოფას არ უნდა იწვევდეს. თუ გამყიდველი მყიდველს გადასცემს უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთს, მყიდველს, ნაკლიანი შესრულების მიღებაზე უარის თქმასთან ერთად, უფლება აქვს, უარი

⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, 30-32

თქვას შემხვედრი ვალდებულების შესრულებაზე გამყიდველის მიერ შესაბამისი შესრულების განხორციელებამდე.

მუხლი 488. ნივთობრივად უნაკლო ნივთი¹. ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. 2. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე. იმისათვის, რომ მყიდველს წარმოშვას გამყიდველის მიმართ მეორადი მოთხოვნები, სახეზე უნდა იყოს გამყიდველის მხრიდან ვალდებულების დარღვევა. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ძირითადი, ასევე არა ძირითადი ვალდებულების დარღვევაში. ეს შეიძლება იყოს გამყიდველის მიერ პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, მოვალის მიერ ვადის გადაცილება ან არაძირითადი ვალდებულების დარღვევა. პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება 361-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევაა, როდესაც შესრულება არ ხორციელდება ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას. არაჯეროვანი შესრულების ერთ-ერთი გავრცელებული შემთხვევა ნასყიდობის სამართალში სწორედ ნაკლიანი შესრულებაა. გამყიდველი, 487-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. აღნიშნული ძირითადი ვალდებულება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებით-სამართლებრივი რეფორმის შემდგომ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების დამფუძნებელ ნორმაში იქნა გათვალისწინებული⁵⁴. სკ-ში აღნიშნული ვალდებულება 487-ე მუხლით არის დადგენილი და გამყიდველის მიერ 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების დაკონკრეტებას ახდენს. 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოა, რამდენად არსებითია ნაკლი. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვანია მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის წარმოშობასთან მიმართებით, ვინაიდან დარღვევის მნიშვნელობა ამ უფლების წარმოშობას გარკვეულწილად ზღუდავს.

1. ნივთობრივი ნაკლი. 488-ე მუხლი ითვალისწინებს ნივთობრივი ნაკლის დეფინიციას, რომელიც გამყიდველის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახეა.

⁵⁴ ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით სამართლებრივი ანალიზი, გვ 49,50

ნივთის ნივთობრივი ნაკლის დეფინიციის დროს უპირატესობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებას. შესაბამისად, უპირველესად უნდა დადგინდეს, რამდენად არის მყიდველისათვის შეთავაზებული/მიწოდებული ნივთი მხარეთა მიერ შეთანხმებული თვისებების მატარებელი. ასეთი შეთანხმების არ არსებობისას უნდა დადგინდეს, იყო თუ არა მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული მიზანი. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში კი ნივთი ობიექტური კრიტერიუმებით ფასდება, რომლის თანახმად იგი ვარგისიუნდა იყოს ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სკ-ი ნივთის ნაკლს ორ კატეგორიად ყოფს და მიჯნავს ნივთის თვისობრიობას ნივთის გამოყენებადობისაგან.

შეთანხმებული ხარისხი. 488-ე მუხლის თანახმად, ნივთობრივი ნაკლი სახეზეა, თუ მას არ გააჩნია მხარეთა მიერ შეთანხმებული „ხარისხი“. მართალია კანონმდებელი იყენებს ტერმინს „ხარისხი“, თუმცა ეს ტერმინი ფართო გაგებით უნდა განიმარტოს და გსკ-ის 434-ე პარაგრაფის მსგავსად მოიცვას ნივთის „თვისებებიც“⁵⁵. შეთანხმებული ხარისხის მქონე ნივთი შესაძლებელია არ იყოს ყოველთვის შეთანხმებული თვისებების მატარებელი⁵⁶, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, კანონმდებლის მიზანი აღნიშნული განსხვავების შეგნებული დაშვება ყოფილიყო. ა. ნივთის ხარისხი (თვისობრიობა). ნივთის თვისობრიობა, არსებული განმარტებების თანახმად, არის ბუნებრივი თვისებების ერთობლიობა, როგორცაა მასალა, მდგომარეობა, გამძლეობა, ვარგისიანობის ვადა, მდებარეობა, მოცულობა/ზომა, ტექნიკური მონაცემები და სხვ⁵⁷. ნივთის თვისობრიობად შეიძლება ასევე ჩაითვალოს ნივთის ფიზიკურ თვისებებთან დაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური, ფაქტობრივი და სამართლებრივი ფაქტორები. ასეთი შეიძლება იყოს, თუ სატრანსპორტო საშუალება შეთანხმებულზე მეტ საწვავს ხარჯავს, მისი გამოშვების წელი, გავლილი კილომეტრაჟი ან სხვა მონაცემი არ შეესაბამება შეთანხმებულს. ასეთად ასევე მიიჩნევა მაგალითად მიწის ნაკვეთზე გარკვეული ტიპის მშენებლობის აკრძალვა ან სხვა მსგავსი საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები, თუ ასეთი შეზღუდვა ნივთზე რისკის გადაცემის მომენტისათვის უკვე არსებობდა. ბ. შეთანხმების ფორმულირება თუ გამყიდველი ხელშეკრულების დადებისას ნივთის თვისებებს აღწერს და მყიდველი ამის საფუძველზე იღებს ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილებას, გამყიდველის მიერ გაკეთებული განმარტება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა და შესაბამისი შეთანხმება

⁵⁵ ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით სამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, გვ. 49; შლრ. მესხიშვილი, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, გვ. 22, 35

⁵⁶ ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით სამართლებრივი ანალიზი, გვ. 49, 50

⁵⁷ მესხიშვილი, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, გვ. 22, 27

თვისობრიობაზე სახეზეა. ამა თუ იმ თვისებაზე შეთანხმების არსებობის ვარაუდი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული გარემოებები უდავოდ იძლევა ვარაუდის საფუძველს⁵⁸.

თავი III ყიდვა-გაყიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობები საერთაშორისო კანონმდებლობაში

სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელ საერთაშორისო აქტებიდან აღსანიშნავია 1964 წლის ჰააგის ერთგვაროვანი კანონები მოძრავი ნივთის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისა და ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს კანონები გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა მხარეების კომერციული საწარმოები მდებარეობენ სხვადასხვა სახელმწიფოებში და სახეზე იყო ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი გარემოებებიდან:

ხელშეკრულება ეხება ნივთს, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში გადაადგილდებოდა, ან უნდა გადაადგილებულიყო ხელშეკრულების ერთი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

როდესაც ოფერტისა და აქცეპტის გამომხატველი ქმედება განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფოში;

როდესაც ნივთის გადაცემა ხდება არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელზეც განხორციელდა ოფერტი და აქცეპტი.

ჰააგის ერთგვაროვანმა კანონებმა განსაზღვრეს საერთაშორისო სამეურნეო ხელშეკრულების ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნებოდნენ სუბიექტის კრიტერიუმებს, ანუ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მხარეების კომერციული საწარმოები უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.

ვენის კონვენციის თანახმად, თუ მხარეს აქვს თავისი კომერციული საწარმოების არაერთი ადგილმდებარეობა, მხედველობაში მიიღება იმ საწარმოს ადგილმდებარეობა, რომელიც ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტული ხელშეკრულების მიზანთან და საგანთან, გამომდინარე იმ გარემოებებიდან, რომლებიც ცნობილი იყო მხარეებისათვის ხელშეკრულების დადების წინ ან ხელშეკრულების დადების მომენტში.

კონკრეტული სახელმწიფოს მატერიალური სამართლის სპეციალური ნორმები საერთაშორისო სამეურნეო ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში,

⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001

როდესაც ხელშეკრულების მიმართ უნდა გამოიყენებოდეს მოცემული სახელმწიფოს სამართალი. ზოგი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის ცალკეული ნორმების უპირატესობას ნაციონალური სამართლის ნორმებზე. არის შემთხვევები, როდესაც ნაციონალური სამართლის ცალკეული ნორმები გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ მაშინაც, როდესაც ხელშეკრულება რეგულირდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობით⁵⁹.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის ყიდვა- გაყიდვის საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ

ვენის კონვენციის შექმნის ძირითადი მიზანი იყო ორი დაპირისპირებული ტენდენციის შერიგება, რომელიც სერიოზულად აფერხებენ საერთაშორისო ვაჭრობისა და მთლიანად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ეს ტენდენციები იყო: ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების რეგულირების ნაციონალური სამართლებრივი სისტემები და თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების უნივერსალური და გამოკვეთილი საერთაშორისო ბუნება.

ვენის კონვენცია ძალზე მნიშვნელოვანი მიღწევაა საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი საფუძვლების კოდიფიკაციისა და უნიფიკაციის სფეროში. იგი წარმოადგენს იმ მატერიაურ-სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო უნიფიკაციას, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტების დადების, შესრულებისა და მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხებს. ვენის კონვენციის მოთხოვნების შესრულება აუცილებელია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიებზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამაში კონტრაქტზე საუარი⁶⁰.

სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის პრემულა ხაზს უსვამს ხელშეკრულებათა შესრულების (Pacta Sunt Servanda) პრინციპის პატივისცემის მნიშვნელობას⁶¹. ამ პრინციპის პატივისცემასთან მიმართებით სამართლებრივად მნიშვნელოვანია ის, თუ რომელ სახელმწიფოებზე ვრცელდება ვენის კონვენციაში ასახული პრინციპი. კონვენცია აზუსტებს მონაწილეთა უფლების მნიშვნელობას ხელშეკრულებების დადებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართულებით. უფრო კონკრეტულად კი, 81-ე მუხლში ცალსახად არის ხაზგასმული, რომ კონვენციის მონაწილე შესაძლებელია გახდეს გაეროს, მისი სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის,

⁵⁹ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“.გამომცემლობა „ლამპარი“., თბილისი.,2006,გვ. 64-66

⁶⁰ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“.გამომცემლობა „ლამპარი“., თბილისი.,2006,გვ. 64-66

⁶¹ Vienna Convention on the Law of Treaties (1969), (18232), Preamble <https://treaties.un.org/doc/Publication/UNTS/Volume%201155/volume-1155-I-18232-English.pdf>

ატომური გაერთიანების, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე სახელმწიფო ან ნებისმიერი სახელმწიფო, რომლის მოწვევაც მოხდება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ კონვენციის მონაწილედ. ეს საკითხი წესრიგდება როგორც ვენის ფორმულით, ასევე ყველა სახელმწიფოს ფორმულით. ვენის ფორმულა სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 81-ე მუხლზე მითითებით გამოყოფს კონვენციის სუბიექტებს, ხოლო ყველა სხვა სახელმწიფოს ფორმულა, რომელიც შემუშავდა გაეროს ფარგლებში, ნიშნავს, რომ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე შესაძლებელია გახდეს მხოლოდ სახელმწიფოს სტატუსის მქონე საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

როგორც არ უნდა იყოს თავად სახელმწიფოთა ხედვა, ერთი რამ ცხადია: თანხმობა სამართლებრივი ნორმების სავალდებულობაზე წარმოშობს სამართლებრივ ვალდებულებებს, იმისაგან დამოუკიდებლად, მოხდება თუ არა სუვერენული ნების ცვლილება მომავალში (*ex consensu advenit vinculum*). აქვე აღსანიშნავია, რომ ხსენებულ თეორიაზე ზემდგომი თანხმობის თეორია წინაპირობად აყენებს წესს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს (*Pacta Sunt Servanda*)⁶².

⁶² ფარსადანიშვილის ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით“, თბილისი, გვ.17

3.1 კონვენციის ძირითადი დებულებები და ხელშეკრულების დადების წესები

კონვენცია გამოიყენება იმ მხარეებს შორის, რომელთა კომერციული საწარმოები მდებარეობენ სხვადასხვა ქვეყნებში და როდესაც ეს ქვეყნები წარმოადგენენ კონვენციის მონაწილეებს (მუხლი 1). კონვენცია არ გამოიყენება ისეთი საქონლის მიმართ, როგორცაა: პირადი ან საჯარო მოხმარებისთვის შეძენილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ საქონლის შექმნა ხდებოდა ასეთი მიზნებისთვის. შეძენილი ან გაყიდული აქციონზე, ასევე საადმინისტრაციულ წარმოების წესით; ფასიანი ქაღალდები და ფული; საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ობიექტები; ელექტროენერგია (მუხლი 2).

ხელშეკრულებები პროდუქციის წარმოებაზე და მიწოდებაზე მიეკუთვნება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს, თუ დამკვეთი მხარე არ იღებს ვალდებულებას, გამყიდველს მიაწოდოს პროდუქციის დამზადებისთვის აუცილებელი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

კონვენცია არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებითაც მიმწოდებელი მხარის ვალდებულებები შემოიფარგლება ძირითადად სამუშაოების შესრულებითა და მომსახურების გაწევით (მუხლი 3).

კონვენციით რეგულირდება მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების დადება და მხარეების უფლებები და მოვალეობები წარმოქმნილი ასეთი ხელშეკრულებიდან. კონვენცია არ ეხება უშუალოდ ხელშეკრულების, ან მისი რომელიმე ნაწილის ნამდვილობას; იმ შედეგებს, რომელიც შესაძლოა დადგეს, გაყიდულ საქონელზე ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით (მუხლი 4). თუ მხარეებს შორის არ არსებობს სხვა შეთანხმება, კონვენცია არ მოითხოვს კონტრაქტის წერილობით გაფორმებას და არ აწესებს რაიმე შეზღუდვას კონტრაქტის ფორმაზე. არაწერილობითი ფორმით დადებული გარიგების ნამდვილობა შესაძლოა დადასტურდეს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით (მუხლი 11, 12, 29, 96); კონვენციის წერილობით ფორმად ითვლება აგრეთვე შეტყობინება ტელეგრაფითა და ფაქსით⁶³;

წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ, მიმართული ერთი, ან რამდენიმე კონკრეტული პირისადმი, რომელიც შეიცავს გარკვეულ მონაცემებს და მიუთითებს წინადადების წარმომდგენის „გარკვეულ ვალდებულებებზე - წარმოადგენს „ოფერტას“.

⁶³ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006,

ითვლება, რომ წინადადება შეიცავს გარკვეულ მონაცემებს, თუ მასში მითითებულია საქონელი, საქონლის მოცულობა, ფასი, ან მითითებულია ასეთი პარამეტრების განსაზღვრის წესი. წინადადება, მიმართული პირთა გაურკვეველი ჯგუფისადმი, განიხილება, როგორც მოწვევა ოფერტის გასაკეთებლად (მუხლი 14).

ოფერტი ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების მომენტში. ოფერტი შეიძლება გამოწვეულ იქნეს ოფერტის წარმომდგენის (ოფერენტის) მიერ, თუ შეტყობინებას ოფერტის გამოწვევის შესახებ ადრესატი მიიღებს ოფერტის მიღებამდე ან მასთან ერთად (მუხლი 15); ოფერტის გამოწვევა შესაძლებელია ოფერენტის მიერ, ხელშეკრულების დადების მომენტამდე, თუ შეტყობინება ოფერტის გამოწვევის შესახებ ადრესატმა მიიღო ოფერენტისათვის აქცეპტის გაგზავნამდე (მუხლი 16). ოფერტის გამოწვევა დაუშვებელია თუ: ა) ოფერტზე მითითებულია, რომ იგი არ ექვემდებარება გამოწვევას; ბ) ოფერტის ადრესატს ჰქონდა საბაბი, ოფერტი განეხილა ისე, რომ იგი არ ექვემდებარება გამოწვევას და მოქმედებდა შესაბამისად (მუხლი 16); ოფერტი ძალა დაკარგულად ითვლება, ოფერენტის მიერ ოფერტზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებისას, იმ შემთხვევებშიც, როდესაც ოფერტი არ ექვემდებარება გამოწვევას (მუხლი 17); ოფერტის ადრესატის განცხადება ან ოფერტზე თანხმობის ნებისმიერი სხვა სახით გამოხატვა წარმოადგენს „აქცეპტს“. ადრესატის დუმილი, ან უმოქმედობა აქცეპტად არ განიხილება.

აქცეპტი ძალაში შედის: როდესაც ოფერენტი იღებს ოფერტის ადრესატის დადებით პასუხს (მუხლი 18), პასუხი ოფერტზე, რომელიც შეიცავს დამატებებს, შეზღუდვებს, ან სხვა სახის ცვლილებებს, ნიშნავს ოფერტზე უარის თქმას და განიხილება, როგორც შემხვედრი ოფერტი; მათ შორის ცვლილებები ფასში, გადახდის წესში საქონლის რაოდენობასა და ხარისხში, მიწოდების პირობებში განიხილება როგორც დამატებები, რომლებსაც არსებითი ცვლილებები შეაქვთ ოფერტის პირობებში (მუხლი 19)⁶⁴;

ოფერტით დადგენილი აქცეპტის ვადის ათვლა იწყება ტელეფონოგრამის ფოსტაში ჩაბარების მომენტიდან, ან პერიოდში აღნიშნული თარიღიდან, თუ ასეთი არ არის მითითებული, მაშინ, კონკრეტზე მითითებული თარიღიდან. ტელეფონით, ფაქსით ან კავშირგაბმული სხვა საშუალებებით ოფერტის გაგზავნისას, აქცეპტის ვადის თვლა იწყება ადრესატის მიერ ოფერტის მიღების მომენტიდან. აქცეპტი შესაძლოა გაუქმდეს, თუ შეტყობინებას აქცეპტის გაუქმებაზე ოფერენტი მიიღებს აქცეპტის ძალაში შესვლამდე (მუხლი 22); ხელშეკრულება ითვლება დადებულად, როდესაც ძალაში შედის ოფერტის აქცეპტი წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად (მუხლი 23);

⁶⁴ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006, გვ. 73

3.2 საქონლის ყიდვა-გაყიდვა და გამყიდველის ვალდებულებები

ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა ითვლება არსებითად, თუ იგი მეორე მხარეს აყენებენ ზიანს, რომლის შედეგადაც იგი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რასაც მიიღებდა ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში;

განცხადებას, ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაკეთებულია ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობით (მუხლი 26);

ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს მხარეების უბრალო შეთანხმებით, სიტყვიერი, სატელეფონო, ან ნებისმიერი სხვა შეტყობინებით. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მის შეცვლას, ან შეწყვეტას მხარეების მხოლოდ წერილობითი შეთანხმებით - არ შეიძლება შეიცვალოს სხვა ფორმით (მუხლი 29)⁶⁵;

გამყიდველი ვალდებულია, მიაწოდოს საქონელი, გადასცეს მასთან დაკავშირებული დოკუმენტები და საქონელზე საკუთრების უფლება ხელშეკრულებისა და წინა მდებარე კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 30).

თუ მხარემ არ ივალდებულა საქონლის მიწოდება, რომელიმე კონკრეტულ ადგილზე, მიწოდების საკითხში მისი ვალდებულება შემოიფარგლება: ა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას, მისი გადაცემით მყიდველის, ან გადამზიდვისთვის; ბ. თუ საქონლის ინდივიდუალური ნიშნების, ან მისი მარაგების განთავსების ადგილის მიხედვით მხარეებისთვის წინასწარ იყო ცნობილი საქონლის გადაცემის ადგილი, მყიდველს საქონელს გადასცემს ამ ადგილზე; გ. ყველა სხვა შემთხვევაში გადასცეს საქონელი მყიდველს იმ ადგილზე, სადაც ხელშეკრულების დადების მომენტში განთავსებული იყო. (მუხლი 31); თუ გამყიდველი წინა მდებარე ხელშეკრულებისა და კონვენციის თანახმად, საქონელს გადასცემს გადამზიდვას, იგი ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს გაგზავნის შესახებ საქონლის მითითებით. თუ გამყიდველს ნაკისრი აქვს საქონლის გადაზიდვის უფლება, იგი ვალდებულია დადოს გადამზიდვთან ისეთი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ კონკრეტულ პირობებში საქონლის ტრანსპორტირების სათანადო პირობებს⁶⁶.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადაზიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს ორმხრივ, კონსესუალურ, სასყიდლიან ხელშეკრულებას, გადაზიდვის ხელშეკრულებით

⁶⁵ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006, გვ. 75

⁶⁶ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006, გვ. 75

გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი, დანიშნულების ადგილზე. გადაზიდვის ხელშეკრულებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ ცხოვრებაში, ვინაიდან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ (საერთაშორისო) გადაზიდვების დროს მეტად მნიშვნელოვანია რომ მხარეებმა დეტალურად განსაზღვრონ ყველა ის სამართალმდგომარეობა და პირობა, რომლებსაც დაექვემდებარებიან (შეიძენენ შესაბამის უფლებებს და იკისრებენ გარკვეულ ვალდებულებებს). გადაზიდვის ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია იყოს კონკრეტული ნივთების ტრანსპორტირება . გადაზიდვის ხელშეკრულების ძალით, გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით. მნიშვნელოვანია კანონმდებლის დათქმა, რომ გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს, ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით ეს იმას ნიშნავს, რომ ბათილი იქნება ნებისმიერი ისეთი სამართალმდგომარეობა ხელშეკრულებაში, რომელმაც შესაძლებელია გადამზიდველს მოუხსნას გადაზიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მოვალეობა და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა⁶⁷.

თუ გამყიდველი არ არის ვალდებული, დააზღვიოს საქონელი გადაზიდვისას, იგი ვალდებულია მყიდველის მოთხოვნით გადასცეს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ტვირთის დასაზღვევად მყიდველის მიერ (მუხლი 32).

გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი: ა) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს პერიოდს, ან, იძლევა თარიღის განსაზღვრის საშუალებას - ამ თარიღში; ბ) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს პერიოდს, ან, იძლევა საშუალებას პერიოდის განსაზღვრისას - ამ პერიოდის ნებისმიერ მომენტში; გ) ყველა სხვა შემთხვევაში - გონივრული ხელშეკრულების დადების შემდეგ (მუხლი 33); თუ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს დოკუმენტები, მან ეს უნდა გააკეთოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმით, წესით და ადგილზე. თუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, ან შესრულდება არასრულად, მყიდველი ინარჩუნებს უფლებას, მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება წინამდებარე კონვენციის თანახმად (მუხლი 34);

⁶⁷ თუმანიშვილი გ., „ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება“ „გამომცემლობა“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი., 2012, გვ. 129, 130

3.3 საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, სამართლებრივი დაცვის საშუალებები და საქონლის მიღების წესები

გამყიდველის მიერ მყიდველისთვის მიწოდებული საქონელი: ხარისხით, რაოდენობით შეფუთვით უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუ მხარეებს შორის არ არსებობს სხვა შეთანხმება, მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს თუ: ა. არ გამოდგება იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, გამოიყენება მოცემული სახის საქონელი; ბ. არ გამოიყენება იმ კონკრეტული მიზნისათვის, რომელთა შესახებ გამყიდველი პირდაპირ ან ირიბად იყო ინფორმირებული მყიდველის მიერ; გ. არა აქვს ის ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომლებიც ჰქონდა გამყიდველის მიერ წარმოდგენილ ნიმუშსა და მოდელს; დ. დარღვეულია ტარისა და შეფუთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია საქონლის საიმედოდ დაცვისა და შენახვის უზრუნველსაყოფად; გამყიდველი არ აგებს პასუხს იმ შეუსაბამობაზე, რომლებიც მოყვანილია ა-დ ქვეპუნქტებში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველმა არ იცოდა ან არ შეიძლებოდა სცოდნოდა ასეთი შეუსაბამობების შესახებ (მუხლი 35). გამყიდველი პასუხს აგებს ხელშეკრულებისა და წინააღმდეგარე კონვენციის მიხედვით, საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობს რისკის მყიდველზე გადასვლის მომენტში, მაშინაც კი, როდესაც ეს შეუსაბამობა ნათელი ხდება მოგვიანებით .

გამყიდველი ასევე პასუხისმგებელია ნებისმიერი შეუსაბამობისათვის, რომელიც წარმოიშობა მყიდველზე რისკის გადასვლის შემდეგ და წარმოადგენს მის მიერ ნაკისრი ნებისმიერი, მათ შორის საგარანტიო ვალდებულების დაღვევის შედეგს (მუხლი 36); საქონლის ვადამდე მიწოდების შემთხვევაში, გამყიდველი ინარჩუნებს უფლებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადის დადგომამდე მოახდინოს საქონლის დარჩენილი ნაწილის მიწოდება, ან ახლით შეცვალოს საქონლის ის ნაწილი, რომელიც რაიმე კონკრეტული მაჩვენებლებით არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ასევე გამოასწოროს ნებისმიერი გამოვლენილი შეუსაბამობა ისე, რომ ასეთმა ქმედებამ არ მიაყენოს მყიდველს არსებითი ზიანი ან გამოიწვიოს მისი მხრიდან რაიმე ხარჯი. ამავე დროს, მყიდველი ინარჩუნებს უფლებას, მოიხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება წინამდებარე კონვენციის შესაბამისად (მუხლი 37). გამყიდველი პასუხისმგებელია იმაზე, რომ, მის მიერ მყიდველისათვის მიწოდებული საქონელი უფლებრივად თავისუფალი იყოს მესამე პირების ნებისმიერი მოთხოვნისაგან, მათ შორის, სამრეწველო და ინტელექტუალურ საკითხებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყიდველი თანახმაა, მიიღოს ასეთი მოთხოვნებით

დატვირთული საქონელი (მუხლი 41); ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გამყიდველი თავისუფლდება, თუ: ა) მყიდველმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა მესამე პირის ასეთი უფლებებს შესახებ, ან ბ) ასეთი უფლებები წარმოიშვა მყიდველის მიერ მოწოდებული ნახაზების, ტექნოლოგიების, ან ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმების გამოყენებით (მუხლი 42). მყიდველი კარგავს უფლებას, დასვას საკითხი 41-ე და 42-ე მუხლებით განსაზღვრულ გამყიდველის ვალდებულებებზე, თუ იგი დროულად არ შეატყობინებს გამყიდველს მისთვის გადატვირთული საქონლისადმი მესამე პირის მოთხოვნების გამოვლენის თაობაზე, მას შემდეგ, რაც მან შეიტყო, ან უნდა შეეტყო ამის შესახებ (მუხლი 43)⁶⁸.

გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებში, თუ გამყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებათა და წინა მდებარე კონვენციით განსაზღვრულ რომელიმე ვალდებულებას, მყიდველს უფლება აქვს : ა. განახორციელოს ხელშეკრულებით, ან კონვენციის 46-ე და 52-ე მუხლებით მინიჭებული უფლებები; ბ. მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით ან კონვენციის 74-77-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. მყიდველის მიერ სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება არ ართმევს მას უფლებას, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს არა აქვს უფლება, მისცეს გამყიდველს რაიმე გადავადება, თუ მყიდველი მიმართავს სამართლებრივი დაცვის რომელიმე საშუალებას, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (მუხლი 46);

მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყიდველი არ მიმართავს სამართლებრივი დაცვის ისეთ საშუალებას, რომელიც არ შეესაბამება მყიდველის მოთხოვნებს. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, მყიდველს მისი შეცვლის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ: გამოვლენილი შეუსაბამობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მოთხოვნა, საქონლის შეცვლის შესახებ გამყიდველს წარედგინა, შეუსაბამობის შესახებ შეტყობინებასთან ერთად ან გონივრულ ვადაში ასეთი შეტყობინების წარდგენის შემდეგ. მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს, გამოსწოროს გამოვლენილი შეუსაბამობები, გარდა ამ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოსწორება მიუღებელია მყიდველისათვის რიგი გარემოებების გათვალისწინებით. მოთხოვნა გამოსწორების შესახებ გამყიდველს უნდა წარედგინოს, საქონლის ხელშეკრულებასთან

⁶⁸ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006, გვ. 83

შეუსაბამობის შესახებ მისთვის წარდგენილ შეტყობინებასთან ერთად, ან გამართლებულ დროში ასეთი შეტყობინების წარდგენის შემდეგ (მუხლი 46).

ხელშეკრულების მზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებების ჩამოყალიბებას, რომლებიც განსაზღვრავენ საქონლის ხელშეკრულებასთან შესაბამისობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონვენციის დებულებებმა „ხელშეკრულების არსებითი დარღვევა“ და „გონივრულ ვადაში გამოვლენილი შეუსაბამობების გამოსწორება“, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები გაუჩინოს მყიდველს⁶⁹. მყიდველის ვალდებულება მიიღოს საქონელი, გულისხმობს: ა) ყველა იმ პროცედურების შესრულებას, რომელიც საშუალებას მისცემს გამყიდველს, დაასრულოს მიწოდება; ბ) მყიდველის მიერ საქონლის მიღებას (მუხლი 60);

საქონლის მიღებისას მყიდველმა ყურადღებით უნდა შეამოწმოს: ა) რამდენად შეესაბამება მიღებული საქონლის მოცულობა, შეფუთვა, მარკირება ხელშეკრულების მოთხოვნებს; ბ) საქონლის ის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომელთა შემოწმება და განსაზღვრა შესაძლებელია საქონლის მიღების პროცესში; გ) თანმხლები სასაქონლო და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. ამ პროცედურების შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს ხელშეკრულების დარღვევის ისეთი გარემოებები, რომელთა გამოვლენა შემდგომ ეტაპზე გაართულებს მყიდველის მდგომარეობას. სასურველია მიღებული საქონლის შემოწმების ფორმები, წესები და მოცულობა გარკვევით იყოს მითითებული ხელშეკრულებაში.

სამართალდაცვის საშუალებები მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში

როდესაც მყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებითა და კონვენციით განსაზღვრულ ვალდებულებებს, გამყიდველს უფლება აქვს: ა) განახორციელოს კონვენციის 62-ე და 65-ე მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები; ბ) მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება; გამყიდველის მიერ სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება არ აძლევს მას უფლებას, მოითხოვოს, მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს ან არბიტრაჟს არა აქვს რაიმე გადავადების უფლება მყიდველისათვის, თუ გამყიდველი მიმართავს სამართლებრივი დაცვის რომელიმე საშუალებას მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევისათვის (მუხლი 61); გამყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მყიდველს საქონლის მიღება, საფასურის გადახდა და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველი მიმართავს ასეთი მოთხოვნებისათვის შეუთავსებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს (მუხლი 62); გამყიდველს შეუძლია, დაადგინოს მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების ახალი

⁶⁹ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006, გვ. 83

ვადები. ამავე დროს, გამყიდველი ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს დროულად გადაუხდელობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხლი 63); გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება: ა) თუ მყიდველის მიერ ხელშეკრულებით, ან წინამდებარე კონვენციით გათალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას; ბ) თუ მყიდველი დამატებით ვადაში არ მოახდენს საქონლის მიღებასა და საფასურის გადახდას, ან განცხადებას, რომ იგი დადგენილ ვადაში არ მიიღებს საქონელს და არ მოახდენს ანგარიშსწორებას (მუხლი 64)⁷⁰.

მყიდველისა და გამყიდველის საერთო ვალდებულებები

მხარეს უფლება აქვს, შეაჩეროს თავისი ვალდებულებების შესრულება, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ ცნობილი გახდება, რომ მეორე მხარე არ შეასრულებს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს; ამის მიზეზი შესაძლოა იყოს: ა) საწარმოს უუნარობა შეასრულოს ვალდებულებები (პრობლემები გადახდისუნარიანობაში); ბ) მის მიერ განხორციელებული არასაკმარისი საქმიანობა ხელშეკრულების შესრულების პირველ ეტაპზე; თუ გამყიდველმა მყიდველს საქონელი გადაუტვირთა იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებს მყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულებას, გამყიდველს შეუძლია, წინ აღუდგეს მყიდველისათვის საქონლის გადაცემას მაშინაც, როდესაც მყიდველს უკვე მიღებული აქვს სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტები. მხარე რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეჩერების შესახებ, მიუხედავად ამისა, ეს მოხდება საქონლის მყიდველისათვის გაგზავნამდე თუ მას შემდეგ, იგი ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს და განაგრძოს ხელშეკრულების შესრულება, თუ მეორე მხარე წარმოადგენს დასაბუთებულ გარანტიებს თავისი ვალდებულების შესასრულებლად (მუხლი 71)⁷¹.

⁷⁰ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006, გვ. 83

⁷¹ იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006,

თავი IV სასამართლო პრაქტიკა

საქმე №ას-459-438-2015.

სამოქალაქო საქმე შეეხება შპს „M-ის“ სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე, შპს „ბ.-ი პ.-ის“ მიმართ და მოითხოვა: ა) ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების – 459,000 აშშ დოლარის; ბ) „ბეს“ ორმაგი ოდენობით – 20,000 აშშ დოლარის; გ) ზიანის სახით, მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის სარგებლის – 61,310 აშშ დოლარის; დ) ზიანის სახით, მიუღებელი შემოსავლის – 118,575 აშშ დოლარის (წელიწადში 22,950 აშშ დოლარი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1,912.5 აშშ დოლარი); ე) პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარისა და ვ) იმ შემოსავლის ანაზღაურების, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით), გადახდის დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „ბ.-ი პ.-ას“ მოსარჩელისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქ.ბ.-ში, ჭ.-ის ქ.№5-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის არსებული კომერციული ფართი (170მ²) ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით, რაზეც უნდა გაფორმებულიყო ძირითადი ხელშეკრულება. მოსარჩელის მითითებით, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ჭ.-ის, ისე, ბ.-ის ქუჩიდან, ფოიე – მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ფოიეს ზევით მე-2-მე-3 სართულების დონეზე – ღია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალურ მახასიათებელსა და მოსარჩელის მხრიდან ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადების მთავარ ინტერესს წარმოადგენდა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „M-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ბ.-ი პ.-ას“ შპს „M-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარის გადახდა. სარჩელი მოთხოვნის დარჩენილ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო და საკასაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ბ.-ი პ.-ას“ დაეკისრა შპს „M-ის“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39,652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღძვრიდან – 2013 წლის 26

დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1,912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე, პირგასამტეხლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და შპს „ბ.-ი პ.-ას“ დაეკისრა შპს „M“-ის სასარგებლოდ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების - 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს - 28,917 აშშ დოლარის გადახდა. საკასაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ გამყიდველმა ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით კომერციული ფართის მყიდველისათვის გადაცემა ვერ შეძლო, კერძოდ, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების“ თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეცა ნივთობრივად უნაკლო საგანი. ხელშეკრულების გაფორმების მიზანსა და მყიდველის ინტერესს კი, წარმოადგენდა ის, რომ უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ჭ.-ის ისე, ბ.-ის ქუჩიდან, ფოიე მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ამ ფოიეს ზევით (თავზე) 2-3 სართულების დონეზე ღია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალური მახასიათებელი და მისი მხრიდან ხელშეკრულების დადების მთავარი ინტერესი იყო. პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მეორე შემთხვევაში, მისი ოდენობის შემცირების მართლობიერებასთან მიმართებაში, საკასაციო პალატამ პირველ რიგში, ყურადღება გამახვილა პირგასამტეხლოზე, როგორც ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვის მქონე მექანიზმზე, ასევე, განცდილი ზიანის ანაზღაურების მოქნილ ინსტრუმენტზე. საკასაციო პალატამ ერთიმეორისაგან გამიჯნა კანონისმიერი და სახელშეკრულებო პირგასამტეხლო. პალატის განმარტებით, კანონისმიერად მიიჩნევა პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მაშასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ - გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი. მოცემულ საქმეზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებაში, საკასაციო პალატამ უპირველესად, შეაფასა ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება

მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, გაუქმდა და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ბ.-ი პ.-ას“ დაეკისრა შპს „Mის“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39,652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღძვრიდან – 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1,912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე, პირგასამტეხლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და გადაწყვიტა: 1. შპს „ბ.-ი პ.-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; 2. შპს „M“-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; 3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; 4. შპს „M“-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; 5. შპს „ბ.-ი პ.-ას“ დაეკისროს შპს „M“-ის სასარგებლოდ 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს - 28,917 აშშ დოლარის გადახდა; 6. დანარჩენ ნაწილში, შპს „M“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს; 7. შპს „M“-ს შპს „ბ.-ი პ.-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს 4210 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით; 8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება⁷².

სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე #2-1405-13, 26.02.2014) დაკმაყოფილდა სარჩელი აღურიცხავი ელექტროენერგიის ღირებულების (132000,87 ლარის) დაკისრების თაობაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე #2ბ/344-14, 18.06.2014) მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11 079.22 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დად-გენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მოთხოვნილი თანხის მხოლოდ ნაწილი უნდა დაჰკისრებოდა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხე 24.03.2009 წლიდან ხარჯავდა ელექტრომრიცხველით აღრიცხულზე გაცილებით მეტ ელექტროენერგიას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და აღნიშნა, რომ შეუძლებელია, მოპასუხის მიერ გამოშვებული პროდუქციისა და დახარჯული ელექტროენერგიის თანაფარდობით დადგინდეს ელექტროენერგიის ცდომილებით მოხმარების დაწყების თარიღი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, ასევე, რომ

⁷² საქმე №ას-459-438-2015

რაიმე სხვა მტკიცებულება, რაც ამ სადავო ფაქტს დაადასტურებდა, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 18.09.2008 წლის #20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების~ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ~ ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან უცნობი იყო ელექტროენერჯის უკანონოდ მოხმარების დაწყების თარიღი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაჰკისრებოდა მხოლოდ 01.08.2012 წლიდან 01.10.2012 წლამდე (სამი თვის მანძილზე) მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ცდომილების გათვალისწინებით, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შეადგენდა 11 079.22 ლარს. საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილი და, მოცემულ შემთხვევაში, გამყიდველის (მოსარჩელის) სამტკიცებელია ის გარემოება, რომ მან სადავო პერიოდში მყიდველს (მოპასუხეს) ელექტროენერჯია მიაწოდა სარჩელში მითითებული ოდენობით. საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული სადავო გარემოების დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. ამასთან, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელემ მის მიერ მითითებული გარემოების დამტკიცება ვერ შეძლო. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელი იყო მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის დალუქვამდე, მასში ხელოვნური ჩარევა შეეძლო მხოლოდ მოსარჩელეს, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაიბარა და დალუქა კვანძი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ზოგადად, აღრიცხვის კვანძის დალუქვამდე, მასში ზღუდარის ჩადება და მრიცხველთან მიერთების სქემის არასწორად დამონტაჟება შეეძლო, როგორც მოსარჩელეს, ისე – მოპასუხეს. თუ გათვალისწინებული იქნებოდა ის გარემოება, რომ, დახარჯული ელექტროენერჯის არასრულად აღრიცხვის შემთხვევაში, მომხმარებელი გადაიხდიდა უფრო ნაკლებ ფასს, ლოგიკური და დამაჯერებელია, რომ ეს ყოველივე ელექტროენერჯის მომხმარებლისა და არა ელექტროენერჯის მიმწოდებლის ინტერესებია, რომელიც, პირიქით, დაინტერესებულია, სრულად აღრიცხოს მის მიერ მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობა და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვისმა მოქმედებამ გამოიწვია აღრიცხვის კვანძის გაუმართაობა, ვინაიდან მოპასუხე ვალდებულია,

გადაიხადოს მის მიერ ფაქტობრივად დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა⁷³.

თავი V. კვლევის შედეგები

ნაშრომზე მუშაობის კვლევისას შეჯამებისას, მიაღწეულ იქნა ნაშრომის მიზნები და ამოცანები და მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანები. სრულყოფილად იქნა შესწავლილი და ნაშრომში წარმოადგენილი ყველა ასპექტი, რომელიც ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებას და მის ელემენტებს, აგრეთვე გამჟღავნებულია თანამედროვე იურიდიულ ურთიერთობებში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შინაარსი.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, იგივე ნასყიდობის ხელშეკრულება არის ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი ტიპის კონტრაქტი სამოქალაქო მიმოქცევაში. სამეწარმეო საქმიანობის ყველა სახეობა ასოცირდება საქონლის ბაზართან, ყველა მეწარმე ფართოდ იყენებს ნასყიდობის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება ასევე ფართოდ გამოიყენება მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობებში.

რა არის პროდუქტის ან პროდუქტის შეძენა ან გაყიდვა? ეს, პირველ რიგში, დოკუმენტია, რომელიც შედგენილია ყველა წესის დაცვით და მოქმედი კანონის შესაბამისად, ერთი მესაკუთრისგან მეორეზე საქონლის ან მომსახურების გადაცემის შესახებ. ამ დოკუმენტს ეწოდება ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ქონების საკუთრებაში გადაცემის ან სხვა ქონების კანონში გადაცემის ვალდებულებების ერთ – ერთ მთავარ სახეობას.

მაშასადამე, დღეს, ყიდვა-გაყიდვა არის ყველაზე გავრცელებული სამოქალაქო მიმოქცევის ხელშეკრულება. სასაქონლო ფორმით სასაქონლო ფორმით გადაადგილება, რომელიც წარმოადგენს რაიმე ვალდებულების საფუძველს, სუფთა ფორმით ჩნდება გაყიდვის ხელშეკრულებაში და მისი პირდაპირი შინაარსია. ამ ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე სამართალში განპირობებულია მისი დიდი მოქნილობით და მისი მასშტაბების ფართობით, რადგან არსებითად ყიდვა-გაყიდვა არის სასაქონლო-ფულის გაცვლის ყველაზე უნივერსალური ფორმა.

მოცემული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების ისტორია ითვლის თითქმის ოთხი ათასი წელს. იურიდიული სისტემების შემუშავების პროცესში ადგილი ჰქონდა იურიდიული ნორმების ბუნებრივ შერჩევას გაყიდვასა და შეძენაზე. დროთა განმავლობაში

⁷³ საქმე #2-1405-13

შემთხვევითი დებულებები აღმოიფხვრა, რაც უფრო გამართლებულ და მაღალკვალიფიციურ საშუალებას მისცემდა ადგილს, გაიზარდა იურიდიული ტექნოლოგიის დონე. იურიდიულმა ნორმებმა, რომლებიც თავდაპირველად არეგულირებს საქონლის რეალიზაციას, თანდათანობით შეიძინა ზოგადი დებულებების ხასიათი სხვა სამოქალაქო გარიგებებისთვის. ამის წყალობით, ნასყიდობის ხელშეკრულების ინსტიტუტმა სერიოზული გავლენა მოახდინა ყველა იურიდიული სისტემის საკონტრაქტო სამართლის ფორმირებაზე: ისტორიულ ასპექტში, მისგან წარმოიქმნა ვალდებულებების კანონის თითქმის მთელი საერთო ნაწილი. თავის მხრივ, ხელშეკრულების სამართლის ზოგადმა დებულებებმა თითქმის სრულად გააფართოვა თავისი გავლენა გაყიდვებზე დამყარებულ ურთიერთობებზე.

სამოქალაქო სამართალი არის ერთერთი მთავარი ფუნდამენტური ბერკეტი, რომელიც არეგულირებს მოქალაქეების ურთიერთობებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების რადიკალურად რეფორმირებაში, როგორც სასაქონლო-ფულის ურთიერთობების და საბაზრო ეკონომიკაში ფორმირების სხვა ურთიერთობების მთავარ მარეგულირებლად. ინიციატივის დასაწყისის სამოქალაქო სამართლის რეგულირების თანმიმდევრობა და სუბიექტების განაწილება, თანასწორობა და ურთიერთპასუხისმგებლობა ზრდის მის სოციალურ ღირებულებას და იწვევს მის ფარგლებს გაფართოებას სამართლის განვითარებად სახელმწიფოში.

ნასყიდობის ხელშეკრულება არის ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი ტიპის კონტრაქტი სამოქალაქო მიმოქცევაში. სამეწარმეო საქმიანობის ყველა სახეობა ასოცირდება საქონლის ბაზართან, ყველა მეწარმე ფართოდ იყენებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება ასევე ფართოდ გამოიყენება მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობებში.

სხვადასხვა იურიდიულ სისტემას აქვს საკუთარი მახასიათებლები გაყიდვის რეგულირებაში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შესრულების გარანტიებზე: გარანტიების კონცეფციაზე, იმპლიციტურ გარანტიებზე, იმ პირებზე, რომელთა სასარგებლოდ გარანტიები მოქმედებს, გარანტიებს არღვევს. საფრანგეთის სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაყიდვის ხასიათი და ფორმა, გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებები. ამასთან, ყველა იურიდიულ სისტემაში, ყველაზე მნიშვნელოვანია ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთების (საკუთრების, საქონლის) საკუთრებაში გადაცემა და ამ ხელშეკრულების ძირითადი პირობები: მისი საგანი, ფასი, მხარეების ვალდებულება ხელშეკრულების

პირობების დაცვით, აგრეთვე რამდენიმე დამატებითი პირობა, საქონლის გადაცემის ადგილი და წესი, მათი ტრანსპორტირება და დაზღვევა, ანგარიშსწორების წესი და ა.შ.

ზოგადი დებულებები ყიდვა-გაყიდვისას შეიცავს რამდენიმე გაერთიანებულ წესს, რომლის მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ ამ კონტრაქტზე და მის ვარიაციებზე, არამედ სხვა კონტრაქტებზე საკუთრების საკუთრებაში გადატანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

გაყიდვის ხელშეკრულება გაფორმებულია მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე და არ მოითხოვს წინასწარი სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებას.

მხარეთა შესაბამისი ვალდებულება ასევე შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ გაფორმდეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ეს წარმოიშობა არა მხოლოდ წინასწარი, არამედ სხვა ხელშეკრულებიდან.

გაყიდვის ხელშეკრულება განიხილება დადებული იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ყველა მატერიალურ პირობებზე მხარეებს აქვთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სუბიექტური უფლებები და მოვალეობები.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ მოსაზრებაზე, რომ რეალიზაციასთან დაკავშირებით თავისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების სათანადო და იურიდიულად განახორციელებისათვის, მნიშვნელოვანია ნებისმიერმა მოქალაქემ იცოდეს მიმდინარე სამოქალაქო სამართლის ყველა ასპექტი, ასევე ამ წესების გამოყენების შესაძლებლობა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას.

დასკვნა

ამდენად, ნაშრომში განხილული და გაანალიზებული მასალიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა:

ხელშეკრულება სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ადამიანები უხსოვარი დროიდან ამყარებენ ურთიერთობას სხვადასხვა ნივთისა და საქონლის გაცვლის მიზნით.

ხელშეკრულების სამართლებრივი დატვირთვა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლის აღსრულების გარანტი, უზრუნველყოფს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ზოგადი პრინციპის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ხელშეკრულება ძალაში შედის, თუ ორი ან მეტი მხარე ნებაყოფლობით შეთანხმდება, რომ ისინი იქნებიან ურთიერთვალდებული იმ საგანზე, რაზეც შეთანხმდნენ. ჩვეულებრივ, ეს გამოიხატება გამოთქმით, რომ ხელშეკრულება დადებულია, როდესაც არსებობს ოფერტი და ამ ოფერტის აქცეპტი.

ხელშეკრულება წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას. შესაბამისად, ხელშეკრულებაში უნდა მონაწილეობდეს ორი პირი მაინც. მხარეთა მიერ ურთიერთმიმართ გამოვლენილი ნება კი ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული, დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებული და შემდეგ საბედნიეროდ სახელმწიფოთა საკმაოდ დიდი რაოდენობის მიერ რატიფიცირებული მოდელური კანონები, შექმნილი იმ მიზნით, რომ მათი მიღება მოხდეს ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

სამეურნეო ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებულია ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმაა ყიდვა-გაყიდვის, ანუ ნასტიდობის ხელშეკრულება. საქართველოში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ასეთი ხელშეკრულებების მხარეების უფლებები და მოვალეობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-520 მუხლებით.

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთლების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს, ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

ნასყიდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელშიც ყველაზე ნათლად არის განსაზღვრული (გამოხატული) ქონების ერთი პირიდან მეორე პირის საკუთრებაში გადასვლა. ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. იგი დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან კანონით გათვალისწინებული ფორმით. ნასყიდობის ხელშეკრულების კანონით გათვალისწინებულ არსებით პირობებად განიხილება ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის საგანი.

გამყიდველი არის ნებისმიერი პირი, რომელმაც ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის წინაშე იკისრა შესაბამისი ვალდებულების შესრულება.

ნასყიდობის საგნის გადაცემა გულისხმობს, როგორც წესი, ნივთზე პირდაპირი მფლობელობის მინიჭებას; თუმცა, შესაძლებელია, არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭებაც საკმარისი იყოს იმისათვის, რომ გადაცემა ჩაითვალოს განხორციელებულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მესამე პირი ნივთის უშუალო მფლობელია და ამის შესახებ მყიდველთან შესაბამისი შეთანხმება იქნება მიღწეული.

ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ზ., „ვალდებულებითი სამართალი“ (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი., 1999
2. ბზეკალავა ე., ჭალაძე თ., ცერცვაძე ა., გეგემავა დ., ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, თბ., 2014
3. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010
4. ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013
5. თუმანიშვილი გ., „ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება“, გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი., 2012.
6. იაშვილი ნ., მაღალაშვილი ე., ნაჭყებია ზ., „სახელმწიფოებო ურთიერთობების პრაქტიკა“, გამომცემლობა „ლამპარი“, თბილისი., 2006.
7. კაკოიშილი დ., „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“, ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, 2013.
8. კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009
9. კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა,
10. კროპკოლერი ი., „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“, თბილისი., 2014.
11. მესხიშვილი, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001
13. ფარსადანიშვილის ნ., სადისერტაციო ნაშრომი „საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით“, თბილისი
14. ძლიერაშვილი ზ., სახელმწიფოებო სამართალი, თბ., 2014
15. ჩაჩავა, ავტომატური ნასყიდობის ხელშეკრულება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-1

16. ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით სამართლებრივი ანალიზი
17. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ, 2016
18. Васильев, Коммаров, Гражданское и Торговое Право Зарубежных Государств, I том , 2004,